

24455
3

საქართველოს
სამეცნიერო



გორი
საქართველოს






ენო ბიბლიოთეკა


გ. ა. შიშინი საქართველო

F 24455
3

1



სახელმწიფო გამომცემლობა
«საბჭოთა საქართველო»
თბილისი



Գ. Նոհո (1827 — 1906)

წინასიტყვაობა

დიდი ხანია გვინდოდა დაგვეწერა მოკლე ნარკვევი იმ ადამიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, რომელმაც გასული საუკუნის მეორე ნახევარში მეგობრულად გაუწოდა ხელი საქართველოს მოწინავე ადამიანებს და მასთან ერთად ქართულ კულტურას, კერძოდ, ქართულ საილუსტრაციო ხელოვნებას თვალსაჩინო ამაგი დასდო.

ეს ადამიანი იყო უნგრეთის საამაყო შვილი, რუსეთის სამეფო კარის ბრწყინვალე მხატვარი მიხეილ (მიხაი) ზიჩი.

როგორც ცნობილია, ამ დიდი ხელოვანის ცხოვრებისა და შემოქმედების ერთი ნაწილი მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს კულტურასთან წარსულში.

დღეს, დემოკრატიულ უნგრეთში, მიხეილ ზიჩი გამოცხადებულია ეროვნულ მხატვრად, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მრავალი მონოგრაფია და მოგონება იწერება.

ქართულ ენაზე დღემდე ნაკლებად არსებობდა ნაშრომი, საიდანაც მკითხველს შესაძლებლობა ექნებოდა გასცნობოდა იმ მასალებს, რომლებიც მრავლად არის გაბნეული იმდროინდელ ჩვენს ყურნალ-გაზეთებში.

ამიტომ მიზნად დავისახეთ როგორც მოკლე ბიოგრაფიული ცნობების მიწოდება ქართველი მკითხველისათვის, ისე ჩვენს ყურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალების შეკრება და სისტემაში მოყვანა. ამით გვინდოდა, ერთი მხრივ, გამოგვესწორობინა ის ნაკლოვანება, რომელიც ჩვენს ხელოვნებათმცოდნეობაში არსებობდა ზიჩის მიმართ და, მეორე მხრივ, დახმარება გავვეწია ზიჩის ბიოგრაფებისათვის, რომელნიც ნაკლებად იცნობენ ზიჩის მოღვაწეობის პერიოდს საქართველოში.



თუ რამდენად შევძელით დასახული მიზნის განხორციელება, ამის შეფასება მკითხველისათვის მიგვინდვია. ამასთანავე, ვფიქრობთ, რომ ამ ნარკვევის გამოქვეყნება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საბჭოთა საქართველოსა და დემოკრატიულ უნგრეთს შორის დამყარებული ძმობისა და მეგობრობის განმტკიცებას და მეტ ნათელს მოჰყენს ამ დიდი ხელოვანის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

აქვე გვინდა უღრმესი მადლობის გრძნობით მოვიხსენიოთ უნგრეთის ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი პატივცემული ილონა ბერკოვიჩი, რომელთან მიმოწერამ და შის მიერ გადმოგზავნილმა ნაშრომმა „მიხაი ზიჩი და რუსეთის ხელოვნება“ დიდი დახმარება გაგვიწია ამ ნარკვევზე მუშაობის დროს*.

მადლობას ვუძღვნით აგრეთვე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის განყოფილების ასპირანტს მარტონ იშტვანოვიჩს, რომელმაც მოგვაწოდა უნგრულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებული მასალები ზიჩის შესახებ და უნგრულიდან ქართულად გვითარგმნა ძირითადი ადგილები.

წინამდებარე ნარკვევი არ იქნება უნაკლო, რადგან იგი არის პირველი ცდა — ასახოს ამ მეტად რთული მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების ის ნაწილი, რომელიც საქართველოსთან არის დაკავშირებული.

დიდი მადლობით მივიღებ ყოველგვარ სამართლიან შენიშვნას და ახალ ცნობებს, დაკავშირებულს ზიჩის მოღვაწეობასთან საქართველოში.

* ამ მიმოწერას გულთბილი წერილი მიეძღვნა „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე (1956 წ. № 20).

შესავალი

როდესაც გამოჩენილი უნგრელი მხატვრის — ზიჩის შესახებ ვლაპარაკობთ, მუდამ უნდა გვახსოვდეს მისი განსაკუთრებული მდგომარეობა როგორც პიროვნებისა, ისე მხატვრისა.

ზიჩიმ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ქართულ სახეობის ხელოვნებაში და მის სახელს არასდროს დაივიწყებს საქართველო და მუდამ მაღლობის გრძნობით მოიხსენიებს მის ნამოღვაწარს.

ხალხთა ძმობისა და ურთიერთ კულტურული კავშირის ეს იდეალი, რომელიც გასულ საუკუნეში ასულდგმულებად და სხვადასხვა ერის მოწინავე მოღვაწეებს — რუსებს, ქართველებს, უნგრელებს, — დღეს არა მარტო განხორციელებულია, არამედ აყვანილია ახალ, ჯერ უნახავ სიმალღემდე. დღეს საბჭოთა კავშირის და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხები სიამაყითა და უდიდესი მაღლობის გრძნობით იხსენიებენ თავიანთ იმ სახელოვან წინაპართა სახელებს, რომლებმაც მცირე წვლილი როდი შეიტანეს კულტურის საუნჯეში. მათ შორის საპატიო ადგილი უჭირავს უნგრელი ხალხის საამაყო შვილს, ქართველების გულწრფელ მეგობარს მიხეილ ზიჩის.

ზიჩი ეკუთვნის იმ უცხოელ მხატვართა წრეს, რომლებიც გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში მოვიდნენ საქართველოში და მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. მათ შორის მან განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა; ის, საქართველოში მოსვლისთანავე, საფუძვლიანად გაეცნო ჩვენს ქვეყანას, ჩვენს წარსულს, დიდი მზრუნველობა და ინტერესი გამოიჩინა ქართული კულტურისა და მისი დიადი წარსულის მიმართ, ქართველ მოწინავე საზოგადოებასთან გააბა მეგობრული კავშირი. მან გამოიჩინა დიდი პრინციპულობა და, მიუხედავად მოსალოდნელი უსიამოვნებისა მეფის მთავრობის მხრივ, ერთხელაც არ დაუხვევია უკან, მტკიცედ განაგრძობდა ქართველ მოღვაწეებთან ძმობისა და მეგობრობის გზას.

უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ ზიჩის მეგობრული დახმარებას მნიშვნელობა და ის დიდი ადამიანური ბუნება, რომელიც მხატვარს ამოძრავებდა, საჭირო იქნება გაკვირით მაინც შევეხოთ იმდროინდელ ეპოქას და მეფის რუსეთში შექმნილ ატმოსფეროს.

იმ დროს, როდესაც რუსეთის მეფის კარის მხატვარი სამეგობროდ ხელს უწყვიდა ქართველ პროგრესულ მოღვაწეებს, საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ფართოვდებოდა. რუსეთში გაჩაღებული იყო ბრძოლა ახალი თაობის ინტელიგენციასა და თვითმპყრობელობას შორის. არსდებოდა სულ უფრო და უფრო ძლიერი ორგანიზაციები როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, რომლებიც მიზნად ისახავდნენ თვითმპყრობელობის დამხობას. არც მეფის მთავრობას ეძინა: ის სასტიკი რეპრესიებით ახშობდა თავისუფლების ყოველგვარ გამოვლინებას. ასეთი მდგომარეობა განსაკუთრებით მაშინ გახდა აუტანელი, როდესაც რევოლუციის გზაზე შემდგარმა რუსეთის ახალგაზრდებმა მეფე ალექსანდრე II მოკლეს (1881 წ.).

ამით გამწარებულმა „მეფის მთავრობამ ამოძრავა მთელი თავისი რეაქციული აპარატი და შეუდგა რევოლუციური მოძრაობის განადგურებას. მთელა რუსეთის იმპერიაში განუსახლვრელად მოქმედებდა ახლად შექმნილი „ოხრანკა“, მისი განყოფილებები თავზარს სცემდნენ მოწინავე და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს. „ოხრანკა“ გაუგონარ სიმკაცრეს იჩენდა „ინოროდცებისადმი“. იგი ცდილობდა აღმოეფხვრა ყოველი ნაციონალური და გაეთქვივა საერთოდ რუსულში. რეაქცია გაფაციცებით აღევნებდა თვალყურს იმპერიის განაპირა ქვეყნებს და იქ წარმოებულ მოძრაობას. იგი არაფერს ერიდებოდა იმისათვის, რომ ძირშივე ჩაეკლა რევოლუციურა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი სულისკვეთება, უღმობელი საშუალებებით გაეტარებინა კოლონიზატორული და ასიმილაციური პოლიტიკა“ *.

სწორედ ამ დროს ეწვია ზიჩი საქართველოს.

ასეთ პირობებში სამეფო კარის მხატვრის გულთბილი დამოკიდებულება „ინოროდცებისადმი“ მართლაც რომ დიდ გმირობას წარმოადგენდა: მისი მეგობრული დახმარება მეფის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი ინტელიგენციისადმი საუკეთესო მაჩვენებელი იყო დიდბუნებოვანი მხატვრის სულისკვეთებისა; მაჩვენებელი იყო მისი ძლიერი ნებისყოფისა და ჰუმანიზმისა.

* ს. ხუნდაძე — დიმიტრი ყიფიანი, გვ. 83.

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

მიხეილ ალექსანდრეს ძე ზიჩი დაიბადა უნგრეთის სოფელ ზალაში. დღემდე ჩვენში ზიჩის დაბადების თარიღად მიჩნეული იყო 1829 წელი. როგორც საბოლოოდ გამოირკვა და დადასტურდა, იგი დაბადებულა 1827 წლის 14 ოქტომბერს. დაწყებითი და უმაღლესი სწავლა მან სამშობლოში მიიღო. მისი ხატვის პირველი მასწავლებელი იყო იტალიელი მაროსტანი, ხოლო როდესაც ვენის სამხატვრო აკადემიაში შევიდა, თავის მასწავლებლად აირჩია ვალდმიულერი, რომელიც იმ ხანებში გამორიცხეს სამხატვრო აკადემიიდან პროგრესული იდეებისა და ახალი მხატვრული პრინციპის ქადაგებისათვის; ვალდმიულერის სკოლაში დიდი გავლენა მოახდინა ზიჩის შემოქმედებაზე.

ახალგაზრდა ზიჩიმ ადრე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება: 18 წლისა იყო, როდესაც მონაწილეობა მიიღო ვენის სამხატვრო აკადემიის გამოფენაში, საიდანაც მისი ნამუშევრები მუზეუმებმა შეიძინეს.

1847 წლის ზაფხულში ვალდმიულერის რეკომენდაციით წინადადება მიიღო შესულიყო რუსეთის სამეფო კარის სამსახურში. ზიჩიმ ეს წინადადება მიიღო და 1848 წლის იანვრის სუსხიან დღეებში სამშობლოდან ჩამოვიდა პეტერბურგს ხატვის მასწავლებლად.

სრულიად ახალგაზრდა, რომანტიკულად განწყობილი მხატვარი სამეფო კარზე იგებს მრავალ ისეთ რამეს, რაც ძირფესვიანად ეწინააღმდეგებოდა მის მსოფლმხედველობასა და სულიერ განწყობილებას.

მისი რუსეთში ჩამოსვლის დროს ჯერ კიდევ ცოცხლად იყო შენახული ხალხის მეხსიერებაში „პეტრე-პავლეს ციხის მიწაყრილზე 1826 წელს აღმართული სახრჩობელები დეკაბრისტების გვამებით, პუშკინისა და ლერმონტოვის მკვლელობის ამბები, სალტიკოვ-შჩედრინის გადასახ-

ლება, დოსტოევსკის კატორღაში გაგზავნა და ტ. შვეჩენკოსათვის ხატვისა და წერის აკრძალვა**.

როგორც ზიჩის ბიოგრაფები აღნიშნავენ, ამ დროს ახალგაზრდა ზიჩი უტოპიური სოციალიზმის დიდ გავლენას განიცდიდა. იგი ცდილობდა ამ იდეების უკვდავყოფას თავის შემოქმედებაში. ის ჯერ კიდევ მაშინ ყოფილა დაინტერესებული ამ იდეებით, როდესაც ვენაში ცხოვრობდა და სოციალური უსამართლობის საკითხებზე ფიქრობდა.

ცხადია, რომ ამგვარი იდეების შქონე ახალგაზრდაზე უარყოფითი გავლენა უნდა მოეხდინა იმდროინდელ სამეფო კარს, სადაც ნიკოლოზ I, საფრანგეთის რევოლუციის გამარჯვებისთანავე, მობილიზაციას აცხადებდა და ასეთ ბრძანებას სცემდა: „ბატონ სამხედრო მინისტრს. დასავლეთ ევროპაში ხდება ბოროტი ზრახვების მამხილებელი ამბები, მიმართული კანონიერ ხელისუფალთა ჩამოსაგდებად. მეგობრობის გრამოტები და ზელშეკრულებანი, რომლითაც დაკავშირებულია რუსეთი გარკვეულ სახელმწიფოებთან, გვაგალებენ აღვასრულოთ ჩვენი საღმრთო მოვალეობა, მივიღოთ დროული ზომები ჩვენი ქარის ზოგიერთი ნაწილების სამხედრო მდგომარეობაში მოსაყვანად ისე, რომ თუ გარემოებამ მოითხოვა, საიმედო ძალა დაეუპირისპიროთ დამლუპველი უსაწყისობის გავრცელებას“**.

1848—1849 წლებში რევოლუციის ალი მოედო მოლდავეთს, ვლახეთს და უნგრეთს. ამ დაძაბული მდგომარეობის დროს ფ. ენგელსი წერდა: „ართუ ევროპის მონარქებს, არამედ ევროპის ბურჟუეზსაც ევროპის საქმეებში რუსეთის ჩარევა მიაჩნდათ ერთადერთ ბსნად პროლეტარიატის წინააღმდეგ, რომელმაც ის იყო იწყო გამოღვიძება. რუსეთის მეფე მათ გამოაცხადეს ევროპის რეაქციის მეთაურად“***.

ზიჩიმ მეფის კარზე გაიგო უნგრეთში რევოლუციის დაწყება. რევოლუციონერებს მიზნად ჰქონდათ ავსტრიიდან სრული განთავისუფლება და უნგრეთის დამოუკიდებლობის აღდგენა. პირველ ხანს აჯანყებულები ზედიზედ იმარჯვებდნენ. ხოლო შემდეგ, როდესაც გამოუვალ მდგომარეობაში ჩაეარდნენ ავსტრიის მთავრობამ დახმარებისათვის

* Н. Д. Лещинский, Павел Андреевич Федотов, стр. 46.

** იქვე.

*** კ. მარქსი და ფ. ენგელსი, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, წინასიტყვაობა 1882 წლის რუსული გამოცემისათვის, სახელგამი, 1956 წ., გვ. 8.

ნიკოლოზ 1-ს მიმართა და მეფის ლეგიონები აჯანყებულთა ცენტრში შეიჭრნენ, — რევოლუცია დამარცხდა, დაიწყო რევოლუციონერთა და გამოჩენილ პირთა ხოცვა-ჟლეტა.

ამ გამოჩენილ პირთა შორის ბევრი ზიჩის თანატოლი და მისთვის საყვარელი ადამიანი იყო; როგორც, მაგალითად, ბრწყინვალე პოეტი შ. პეტეფი. სახალხო ეპოსის შემქმნელი იოჰან არანი, ემერის მადაჩი და სხვები. ბევრმა მათგანმა ვაჟკაცურად დალია სული ბრძოლის ველზე.

როგორც ევროპის ამბებმა, ისე უნგრეთის რევოლუციის დამარცხებამ დიდი გავლენა მოახდინა ზიჩიზე: ის ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ როდესაც მისი თანატოლები ბრძოლის ველზე იღუპებოდნენ, იგი მათი ჯალათის კარზე ფუფუნებაში იყო და განცხრომით ცხოვრობდა.

სამშობლოს დიდად მოყვარული და რევოლუციურად განწყობილი მხატვარი დარწმუნდა, რომ მეფის კარზე მისი ცხოვრება სრულიად არ ეგუებოდა მის ოცნებას. უარყო მეფის კარზე სამსახური, უამხანაგოდ და უთვისტომოდ დარჩენილმა უცხო ქალაქში თავი გაიმართოვა და ამით ერთგვარი სულიერი სიმშვიდე მოიპოვა: ის ვერ შეაშინა ვერც უბინობამ და ვერც კარზე მომდგარმა გაჭირვებამ. იგი ეკუთვნოდა იმ ადამიანთა წრეს, რომლებსაც გაჭირვება კი არ აშინებს, არამედ უფრო უღვიძებს ბრძოლის სურვილს. როდესაც თავის ცხოვრების ამ პერიოდს იგონებს ზიჩი, ამბობს: „როდესაც მე, უსახელო და ღარიბმა მხატვარმა, ამასთანავე, ვალეზში ჩავარდნილმა, დავტოვე საშეფო კარი, ხშირად არ ვიცოდი, როგორ უნდა გადამეხადა ფული იმ უბადრუკ ოთახში, რომელშიც მე ვცხოვრობდი, მარტოობის გრძნობა მიპყრობდა, როდესაც იქ შეედიოდი. ეს აუტანელი იყო“*. ბოლოს ის პეტერბურგის ფოტოგრაფ ვენინგერთან იწყებს სამსახურს, როგორც რეტუშორი და თან საბაზრო სურათებს ხატავს. რეტუშორობას და დაგეროტიკების შეფარდებაზე მუშაობას ის უწოდებს „წინდების ქსოვას“. ამ ყოფაში ჩავარდნილი ავად გახდა. მას მხსნელად მოეველინა მდაბიო წრიდან გამოსული გოგონა ალექსანდრა ერმოვა, რომელიც ბოლოს ზიჩიმ ცოლად შეირთო. დამახასიათებელია ზიჩის მსოფლმხედველობისათვის ის გარემოებაც, რომ მან დაბალი წრიდან გამოსულ ახალგაზრდა მეუღლეს დაუმალა თავისი თავადური შთამომავლობა.

* ი. ბერკოვიჩი — მიხაი ზიჩი და რუსეთის ხელოვნება.

შემდეგში, როდესაც მოტანილ იქნება ი. ბერკოვიჩის აზრი, ყველგან იგულისხმება ხსენებული ნაწარმოები — ბ. გ.



ზინა მეულაუ

პეტერბურგში ზიჩი გაეცნო რუსეთის დიდი მხატვრის — პ. ა. ფედოტოვის — შემოქმედებას, რომელიც ირონიის მახვილით დაუზოგავად აკრიტიკებდა მეფის ოფიცრებს, მექრთამე მოხელეებს, ბობოლა ვაჭრებსა და მათს საზოგადოებრივ შეხედულებებს. ფედოტოვის არაჩვეულებრივი დაკვირვების უნარი და მწვავე ირონია ძალიან ეგუებოდა ზიჩის სულიერ განწყობილებასა და მის მსოფლმხედველობას. იგი მალე მოექცა ფედოტოვის გავლენის ქვეშ. მის მსგავსად, იგიც დაუზოგავად ამოთრახებდა რუსეთის ფეოდალიზმს იუმორისტული ნახატებით.

ზიჩი მარტო სატირული ქანრის შემოქმედებით და სამეფო კარის ცხოვრების ასახვით არ კმაყოფილდება: იგი ჰქმნის მრავალ რეალისტურ პორტრეტსა და კომპოზიციას, რითაც იმსახურებს საზოგადოების ყურადღებას.

აღსანიშნავია ამ დროს შესრულებული მისი „კავკასიის სცენები“. რომლებიც ლითოგრაფიების სერიის სახით გამოქვეყნდა 1852 წელს.

მის „კავკასიის სცენებში“ გადმოცემულია თავდადებული ბრძოლები მომხდურსა და დამხვდურს შორის: გმირობის გამსაკუთრებული ეპიზოდები დიდი მხატვრული ოსტატობით არის გადმოცემული, რაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. აქ საუკეთესოდ იგრძნობა ის გამსხვავება, რომელიც არსებობს ზედაპირულ ფოტოგრაფიულ გამოსახულებასა და ჭეშმარიტ რეალისტურ ნახატს შორის. შემთხვევით როდი ამბობდა ზიჩი: მე მინდა ფოტოგრაფიამ მოიპოვოს დიდი წარმატება თავისი განვითარების დროს, მაშინ მაინც აეხილება თვალები საზოგადოებას და ჭეშმარიტი მხატვარი ღირსეულად დაფასდება.

მართლაც, ღირსეულად დააფასა საზოგადოებამ ჭეშმარიტი მხატვრის — ზიჩის — ნიჭი: მისი სახელი გახშირდა, ხოლო მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. თვითონაც აღნიშნავს ამ გარემოებას და 1854 წლით დათარიღებულ მოგონებაში ამბობს: „მე კარგი შემოსავალი მაქვს, ვცხოვრობ დიდებულად, მაგრამ გადაღლის შედეგად გავხდი ავად. დღისით ვმუშაობ როგორც ხელოსანი, ხოლო საღამოობით ვარ თავისუფალი და შესაძლებლობა მეძლევა ვემსახურო ხელოვნებას“.

„კავკასიის სცენები“ ორიგინალური და ახალი სიტყვა იყო მხატვრობაში. ამ სცენების უნაკლო რეალისტურ შესრულებასა და რომანტიკულ პათოსს კიდევ უფრო აძლიერებდა კავკასიური სიფიციხის ახალგაზრდული აღგზნებით გადმოცემა.



Նոհի — լազյանոս ելընընձ

კავკასიის მცხოვრებთა იმდენი სპეციფიკური დეტალი არის ნაჩვენებში ამ ნახატებში, რომ შეუძლებლად მიგვაჩნია ეს დეტალები ზიჩის გადმოცემა უშუალოდ ნახულისა და განცდილის გარეშე, თუმცა იმ დროს ზიჩის კავკასიაში მოსვლის შესახებ რაიმე ცნობა არ მოგვეპოვება.

ზიჩი ძლიერ ყოფილა დაინტერესებული სხვადასხვა ხალხის, მათ შორის კავკასიელთა ჩაცმულობითა და ყოფაცხოვრებით; „მას ჰქონდა ალბომი, — ამბობს ი. ბერკოვიჩი, — სადაც უკვდაყოფილია სახალხო ჩაცმულობის რამდენიმე ათასი ნიმუში. მისი რუსული ხალხური ხელოვნების კოლექციაში დიდი რაოდენობით ინახება კავკასიური იარაღები, ხანჯლები, ქაშარის მოსართავეები, რომელთაც ის იყენებდა მოდელად“.

დადგა 1858 წელი. რუსეთს ეწვია ცნობილი ფრანგი მწერალი, პოეტი, მხატვარი და მოგზაური თეოფილ გოტიე. ის გაეცნო იმ დროს მოწყობილ ზიჩის სურათების გამოფენას და შემდეგ თავის მოგზაურობის აღწერილობაში მთელი თავი მიუძღვნა ზიჩის შემოქმედებას. ეს მოგონება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროდ მიგვაჩნია ადგილების მოტანა იქიდან.


თეოფილ გოტიე ზიჩის შემოქმედებას „განსაცვიფრებელსა“ და „გენიალურს“ უწოდებს. იგი ასე აღწერს გამოფენაზე შესვლის მომენტს:

„ჩვენ აღმოვჩნდით ისეთი შედეგების წინ, რომლებსაც ვერ მიაწერ ვერც ერთ გამოჩენილ ოსტატს, თუმცა თვითოეული მათგანისათვის მათზე ხელისმოწერა საამაყო იქნებოდა.... ახალი, ორიგინალური მხატვრული ხერხები, არაჩვეულებრივი გემოვნება, სიფაქიზე. ზიჩის სურათები სწრაფად იყიდება, იტაცებენ... მაღაზიიდან გამოსვლისთანავე, ვინც კი გვხვდებოდა, ვეკითხებოდით: იცნობთ თქვენ ზიჩის?... მხატვართა პარასკევობაზე* პირველად ვნახეთ ზიჩი. 30—32 წლის ახალგაზრდა ზიჩი გრძელი აშლილი ქერა თმით, ცეცხლოვანი წყლისფერი თვალებით, ღია ფერის, ოდნავ დახუტუქებული წვერით. მან საამური, წყნარი, რაკრაკა სიცილი იცის, სიცილი ბავშვისა.

გენიის გამომქდავენებას დიდი დრო არ უნდა, თუ ის გაბადია. ზიჩი კი მას ფლობს.

* 1857 წელს ზიჩიმ პეტერბურგში შექმნა მხატვართა საზოგადოება, რომელსაც „პარასკეობა“ უწოდა, რადგან ამ საზოგადოების წევრები მხოლოდ პარასკეობით იკრიბებოდნენ ხოლმე.

2. ბ. გორდეზიანი, ზიჩი საქართველოში





ზიჩი ერთ-ერთ იმ გასაკვირველი პიროვნებათაგანია, რომლებიც კი 1830 წლიდან შეგვხედრიან*.

ამ ზოგად, სიცოცხლით სავსე აღწერილობას მოჰყვება ორმოცამდე გვერდი ზიჩის სურათების გარჩევსა, სადაც მოჩანს ზანისა და ფერების საუკეთესო მცოდნე. გოტიეს ყოველი აზრი დამაჯერებლად არის გამოთქმული, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მაშინდელ საზოგადოებაზე. პეტერბურგის სამხატვრო აკადემიამ ზიჩის აკადემიკოსობა მიანიჭა. მეფე ალექსანდრე მეორემ 1859 წელს კარის მხატვარი მოხუცი ადოლფ შარლემანი* შეცვალა ახალგაზრდა ზიჩით, რომლის მოხდენილი გარეგნობა, ნიჭთან ერთად, შეუუმჩნეველი არ დარჩენია სამეფო კარზე მყოფ ქალთა საზოგადოებას. მალე პეტერბურგის მაღალ საზოგადოებაში პირველი ადგილი დაიკირა და სალონების სასურველი სტუმარი გახდა. მიმზიდველი საუბრით და გასაოცრად სწრაფი ხატვით აღტაცებაში მოჰყავდა დამსწრენი**.

ზედგამოჭრილი იყო ზიჩიზე მხატვარ კ. ბრიულოვის სიტყვები: „ხატვა უნდა იცოდეს იმაზე ადრე, სანამ მხატვარი გახდებოდეს... თუ მხატვარი ვერ ახერხებს ჩანაფიქრის ადვილად გადმოცემას, მაშინ მისი ნახატი უსიცოცხლო იქნება... ფანქარმა უნდა ისრიალოს ქალაქდზე ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. გადაბრუნდება აზრი — ფანქარიც უნდა გადაბრუნდეს... აზრი და ნახატი — ეს ცოლ-ქმარია: მხატვარს გრძნობა აძლევს აზრს, ნახატი კი მას შობს. პირველი მეორეს გარეშე მუნჯი და უნაყოფია“. როგორც ვიცით, ზიჩი თავისუფლად ფლობდა ხატვის მექანიზმს, მისთვის არ არსებობდა რაიმე სიძნელე აზრისა და გრძნობის გადმოცემის დროს.

1862 წელს ზიჩი სტოვეს პეტერბურგს, პირველად თავისი აქ გადმოსახლების შემდეგ და სამშობლოში მიემგზავრება. გავლით ჩერდება პარიზსა და მიუნხენში. ამ დროისათვის მან გამოსცა ცალკე ლითოგრაფიულ ფურცლებად მ. ლერმონტოვის „დემონის“ ილუსტრაციები. საზოგადოებამ დიდი კმაყოფილებით მიიღო ზიჩის ეს ახალი ნამუშევრები და მათ მაღალი შეფასება მისცა.

* მამა ჩვენი გამოჩენილი გრაფიკოსი მხატვრის იოსებ შარლემანისა.

** რუსეთის ხელოვნების ცნობილი კრიტიკოსი პ. პ. ვენდინი ასე ახასიათებს ზიჩის ტალანტს: „ზვიად რამდენიმე დღემის მანძილზე ის ათავსებდა რამდენიმე ათეულ პორტრეტს, სადაც განსაკუთრებულად იყო დაცული მსგავსება“ (ხელოვ. ისტ. ტ. II).



ზინი — შ. ლერმონტოვის პოემის «დემონის» ილუსტრაცია

ზიჩის სამშობლოში გამგზავრების დროს რუსეთში მოძრაობა თვით-მპყრობელობის წინააღმდეგ თანდათან ვითარდება. 1866 წელს მოხდა თავდასხმა მეფეზე. ზიჩი ამ დროს უკვე დაბრუნებულია საზღვარგარეთიდან. პეტერბურგში ხშირად იმართება მისი ნამუშევრების გამოფენები. ამ დროს ზიჩის შეხედულება მხატვრობის შესახებ ახლო იდგა ჩერნი-შევსკის შეხედულებასთან ხელოვნებაზე; პირველი და საერთო მნიშვნელობა ყველა ხელოვნებისა არის აღქმა ნამდვილი ცხოვრებისა და მოვლენებისაო. დაახლოებით იმავე აზრს იზიარებდა ზიჩიც: „სურათს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს ღირებულება, თუ იგი ისეთ რამეს გამოხატავს, რომელიც რაიმე ფილოსოფიურ ან მორალურ ჭეშმარიტებას აშუქებს. ხელოვნება დგება რა ცივილიზაციის ერთ-ერთ მამოძრავებელ გზაზე, ზდება სასარგებლო და აუცილებელი“ (ი. ბერკოვიჩი).

ოფიციალური კრიტიკა ზიჩის მინცდამინც არ ანებივრებდა, — მას უწოდებდა ზერელეს, თუმცა იქვე მწუხარებას გამოთქვამდა, რომ ასეთი გასაოცარი ტალანტი წვრილმანებზე ხურდავდებაო. რუსეთის მხატვრობაში ზიჩის ასახელებდნენ „როგორც ერთადერთს, რომელმაც ხატვის ტექნიკური მრავალფეროვნება და საქმის დაუფლება ვირტუოზობაზე მიიყვანა“, ამასთან, დასძენდნენ, რომ... რუსეთის მხატვართა შორის საუკეთესო ილუსტრატორი ზიჩი არისო.

თუმცა სამეფო კარზე მუშაობამ ზიჩის ნიჭზე უარყოფითი გავლენა მოახდინა, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო მინც მისი შემოქმედებითი ტალანტი, რომ იგი არ დაკმაყოფილებულა და არ შეზღუდულა სამეფო კარის ცერემონიალების, ნადირობისა და მოგზაურობათა ასახვით: მან დიდი პროფესიული ცოდნა, რეალისტური დაკვირვება და დიდი ფანტაზია გამოავლინა როგორც რუსეთის, ისე მშობლიური, უნგრული და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების ნაწარმოებთა დასურათებისას. შეუძლებელია ჩამოვთვალოთ ყველა მისი ნამუშევარი, რომელთა რიცხვი ათასს აღემატება; დავასახელოთ ზოგიერთი: „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, გოგოლის, გონჩაროვის, შექსპირის, პუშკინის, გოეთეს, ბაირონის, ა. დიუმას, გოტიესა და სხვა გამოჩენილი მწერლების ნაწარმოებები. განსაკუთრებით დიდი გამოხმაურება და მოწონება დაიმსახურა ლერმონტოვის ნაწარმოებთა, უპირველეს ყოვლისა, „დემონის“ ილუსტრაციებმა.

დიდი გულისხმიერება და სიყვარული გამოიჩინა მან თავისი თანამემამულეების, უნგრეთის დამოუკიდებლობისათვის თავდადებული

მწერლების — შ. პეტეფის, იოჰან არანის და სხვათა თხზულებების და-სურათებისას.

ზიჩის ნამუშევართა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ემერის მადაჩის პოემის — „ადამიანური ტრაგედის“ — დასურათება. ამ ტრა-გედის ავტორი ზიჩიზე ექვსი წლით უფროსი იყო. სამშობლოში ალბათ ისინი ერთმანეთს კარგად იცნობდნენ.

ემერისი, ისევე როგორც ზიჩი, თავისი ქვეყნის ბედს გულგრილად ვერ უყურებდა: მას იტაცებდა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძო-ლა. უნგრეთის გამათავისუფლებელი ბრძოლების დაწყების დროს ზიჩი რუსეთის სამეფო კარზე მოხვდა, მადაჩი კი სამშობლოში დარჩა და თანამემამულეთა ბედი გაიზიარა.

მკვეთრი პოლიტიკური პაემფლეტების მიზეზით თუ რევოლუციისა-დმი კეთილი განწყობილების გამო, უცნაური ხასიათის პოეტმა მადაჩმა ციხეში ამოჰყო თავი. სიგიჟის კარამდე მისულმა, თანამედროვეები გააყ-ვირვა მართლაც გასაოცარი ნაწარმოებით; მან სცადა კაცობრიო-ბის ბედიბლის მხატვრულად გადმოცემა ისტორიის განვითარების ფონზე. მისი ნაწარმოები „ადამიანური ტრაგედია“ იმავე დროს ტრაგე-დია იყო პოეტის სულიერი მდგომარეობისა.

იმდროინდელმა კრიტიკამ „ადამიანური ტრაგედია“ „ფაუსტის“ გვერდით დააყენა. ლაპარაკობდნენ გოეთესა და მადაჩიზე. ეს დიდი გა-მარჯვება იყო დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი უნგრეთისათვის. ამ გამარჯვებას კიდევ მეორე გამარჯვება დაემატა, როდესაც ეს მეტად რთული ნაწარმოები ზიჩიმ დასურათა. ზიჩიმ დაამტკიცა, რომ ის იყო თავისი დროის საუკეთესო და დიდი კულტურის მქონე ილუსტრატორი.

ზიჩის მრავალი მიმბაძველი და მოწაფე გაუჩნდა. მათ შორის ყველა-ზე ნიჭიერი აღმოჩნდა მხატვარი ქალი მერი ეტლინგერი, რომელიც შემდეგში დიდი ხნით გახდა ზიჩის თანამგზავრი მისი მოგზაურობებისა და მრავალფეროვანი ცხოვრების დროს. ამასთანავე, ეტლინგერმა ერთ-გვარი როლი ითამაშა ზიჩის ქართველებთან დაახლოებაში მაშინ, როცა ის დიმიტრი ერისთავის მეუღლე გახდა და სოფ. იკორთაში დასახლდა ქმართან ერთად. ამის შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ გვექნება საუ-ბარი.

1874 წელს ზიჩი კარის მხატვრის მოვალეობისაგან ითავისუფლებს თავს, სტოვებს რუსეთს და დიდი ხნით მიემგზავრება სამშობლოში. უნ-

გრეთის მთავრობის დაკვეთით ის ხატავს სურათს „ავსტრიის დედოფალი გვირგვინით ამკობს დეაკის კუბოს“. არც ეს იყო შემთხვევითი ზიჩისათვის: თუ ემერის მადარჩი, იოჰან არანი და შანდორ პეტეფი მისთვის მშობლიური პოეზიის სიამაყეს წარმოადგენდნენ, დეაკის სახელის უკვდავყოფაც არანაკლებ იტაცებდა, რადგან ეს სახელი ყველა უნგრელი-სათვის იყო სინონიმი პატიოსნებისა, აღამიანობისა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისა.

სამართლიანად შენიშნავს ი. ბერკოვიჩი, რომ, როდესაც ზიჩიმ დასტოვა რუსეთი (1874), ის ამ დროს იყო აღსაყვანი რუსეთის დიდი რეალისტების რევოლუციური სულისკვეთებით. მან შეითვისა მათი შემოქმედების ღრმა იდეური შინაარსი, ცდილობდა გადმოეცა ყოველივე ეს თავისი ინდივიდუალური მხატვრული საშუალებებით.

არანაკლებ საინტერესოა ზიჩის მეორე ბიოგრაფის ბენი ლასლონეს აზრი ზიჩის შესახებ, რომელიც მან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ყოველთაოურ ჟურნალ „ვენგერსკიე ნოვოსტში“ (1956 წ. №3) გამოაქვეყნა, სადაც ზიჩის დახასიათებასთან ერთად დიდი ადგილი დაუთმო მის დამოკიდებულებას საქართველოსთან.

ავტორი ახალი თვალთახედვით უდგება ზიჩის ცხოვრებისა და შემოქმედების ფაქტებს. უარყოფს რა ძველ შეხედულებას ზიჩის პიროვნებასა და შემოქმედებაზე, მრავალი ფაქტიური მასალით იძლევა მხატვრის სახის ახლებურ გაგებას, რომელიც პროგრესულია და დიდი ჰუმანიზმითაა გასხვივონებული. იგი ამბობს: ზიჩის შემოქმედების სფერო და მისი რეზონანსი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს.

ავტორი ზიჩის შემოქმედებასა და სულისკვეთებას უკავშირებს უნგრეთის ისტორიაში მომხდარი 1848—49 წლების ამბებს: ზიჩიმ მძაფრად განიცადა უნგრელი ზალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამარცხება და ღრმა მოხუცებულობამდე თავის ნაწარმოებებსა და წერილებში ხშირად უბრუნდებოდა 1848 წლის სულის აღდგენას. ამ აზრის დასამტკიცებლად, სხვა ბევრ არგუმენტთან ერთად, მას მოჰყავს ნაწყვეტები ზიჩის მიერ ოთხმოცდაათიან წლებში დაწერილი წერილებიდან: „ვის შეუძლია ამ ამბების დაეწევა (იგულისხმება 1848 წელი), რომლებთანაც დაკავშირებულია ყველა სასახლო დღე ჩვენი სამშობლოს ისტორიისა“.

ზნატერის პროგრესული და დემოკრატიული სულისკვეთების დამადასტურებლად სთვლის ავტორი აგრეთვე იმ დიდძალ გონებამახვილ და სარკასტულ კარიკატურებს, რომლებსაც იგი ხატავდა სამეფო კარზე მყოფი საზოგადოების ქარაფშუტა წევრებზე.

ზიჩის დემოკრატიულ სულისკვეთებას განსაკუთრებულად მაშინ ავლენს ავტორი, როდესაც ეხება ზიჩის პარიზში ყოფნის პერიოდს, სადაც ზიჩის ყურადღებას იქცევდა მუშათა მოძრაობა. 1875 წელს ზიჩი ხდება პარიზში ემიგრირებული უნგრელი მუშებისა და ხელოვნების გაერთიანებული საზოგადოების თავმჯდომარე, თავდადებით მუშაობს უნგრეთის მუშების ინტერესების დასაცავად. ორი წლის შემდეგ იგი ცდილობს გააბას კავშირი უნგრეთის მუშათა მოძრაობის ზოგიერთ ხელმძღვანელთან.

როდესაც ავტორი გადადის ზიჩის საილუსტრაციო მოღვაწეობაზე და ჩამოთვლის მსოფლიო ლიტერატურის საყოველთაოდ ცნობილ კლასიკოსებს, რომელთა ნაწარმოებებიც მან დაასურათა, იხსენიებს პუშკინს, ლერმონტოვს, გოგოლს, რუსთაველს და ოსტატურად უკავშირებს ზიჩის პროგრესულ მსოფლმხედველობას ამ მწერალთა ნაწარმოებების ილუსტრირებას.

„პუშკინში, თავისუფალი აზროვნება, პროგრესული იდეებისადმი შთაგონებული დამოკიდებულება, რაც ზიჩის ახასიათებდა როგორც მხატვარსა და ადამიანს, იყო ის თვისებები, რომლებსაც გამოხატავდნენ სამშობლოდან გადახვეწის დროს შექმნილ თხზულებებში პუშკინი და ლერმონტოვი და რომლებმაც გამოძახილი ჰპოვეს აგრეთვე გოგოლის „ტარას ბულბაში“. ხოლო ბრწყინვალე ეპოსის — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ — დასურათება ზიჩის მიერ იყო იმ ხალხის კულტურული რევოლუციისადმი საფუძვლიანი ხელის შეწყობა, რომელიც მეფის რუსეთის მხრივ ჩაგვრას განიცდიდა“.

განაგრძობს რა საქართველოზე საუბარს, ბენი ლასლონე „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებას ზიჩისათვის მეტად ახლობელ საქმედ თვლის. „ქართული მოძრაობის (იგულისხმება მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა — ბ. გ.) ფონი და სულიერი ატმოსფერო, რუსთაველის სულით გასხივოსნებული, გოტიესა და ვიქტორ ჰიუგოს მეოხებით ზიჩისათვისაც პირადად განცდილ საქმედ იქცა. საქმე ისაა, — განაგრძობს ავტორი, — რომ ქართული პროგრესული ინტელიგენციის ერთი ნაწილი, მათ შორის

იონა მეუნარგია, ერთ ხანს ემიგრაციაში შენევაში იმყოფებოდა და მან, ვიქტორ ჰიუგოს ინიციატივით, გადაწყვიტა, აღედგინა რუსთველის შემოქმედება... შემთხვევითი როდია ისიც, რომ მთავარ გმირებს შორის (იგულისხმება ზიჩის ილუსტრაციები — ბ. ზ.) ჩვენ ვხედავთ „ქენეველი ქართველების“ სახელებს და მათი სახით ახალი სულის მედროშე მხატვრებსა და მწერლებს“.

ამთავრებს რა თავის საინტერესო ნარკვევს ზიჩის შესახებ, ავტორი დაასკვნის: „უფრო ცნობილი, ტრაფარეტული და ცალმხრივი სურათი ზიჩისა, როგორც მეფის კარის მხატვრისა, რომელიც მოკლებულია მისი ხელოვნების პროგრესულ ხასიათს, ფერს ჰკარგავს იმ გაბედული სულის ადამიანისა და მხატვრის პორტრეტთან, რომელსაც სამართლიანად შეეძლო თავისთავზე ეთქვა: „ჩემი სიცოცხლის ხანგრძლივ მანძილზე არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მე ოდესმე უარი მეთქვას ჩემს აზრზე, ჩემს მრწამსზე, ან და არ გამომეთქვა ის, რისი გამოთქმაც საჭირო იყო“.

ამას, ჩვენი მხრივ, გვინდა დავუმატოთ ისიც, რომ ქართველი ხალხის მოწინავე შვილებს მუდამ სწამდათ, რომ ზიჩი იყო გაბედული სულის, პროგრესული მსოფლმხედველობისა და ჰუმანური გრძნობების ადამიანი, მას ძლიერად უყვარდა სამშობლო და თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანები. ამის ერთ-ერთ უტყუარ ფაქტს ისიც წარმოადგენს, რომ ზიჩი ახლო კავშირში იყო დიდ ქართველ პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძესთან, რომლის შესახებ დღემდე არაფერი თქმულა ზიჩის ბიოგრაფების მიერ. ამიტომ ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს, ამ საკითხს უფრო ფართოდ შევეხოთ და მეტი სინათლე შევიტანოთ დიდი მხატვრის ბრწყინვალე ბიოგრაფიაში.

როდესაც ზიჩიმ პირველად დასტოვა პეტერბურგი (1862) და საზღვარგარეთ გაემგზავრა, ის უკვე იცნობდა საქართველოს.

ამ დროს საქართველოს დეგრადაციის გზაზე დამდგარი ფეოდალური კლასის წარმომადგენლები მრავლად ფუსფუსებდნენ სამეფო კარზე. მათი უმრავლესობა იქ იბრძოდა კარიერის მოსაპოვებლად და ჩინ-ორდენების მისაღებად. მათს ასეთ ზრახვას დიდად უწყობდა ხელს იმ დროს კავკასიაში წარმოებულნი ომები, რომლებშიაც ქართველი თავდაზნაურობა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. ისინი მეფის კარზე დიდი ყურადღებით სარგებლობდნენ როგორც საწელმწიფო თანამდებობებზე დანიშვნის, ისე ოფიციალური აღლუმების ჩატარების დროს. როგორც

ჩანს, ზიჩი მათ პატივისცემით არ ეპყრობოდა: მათში მხოლოდ განწირულთა სახესა და ეთნოგრაფიულ მასალას ხედავდა.

საზღვარგარეთ გამგზავრების წინ ზიჩის საშუალება მიეცა გასცნობოდა აგრეთვე მომავალი საქართველოს ახალ სახეს. ამ სახის მატარებელი იყო მაშინდელი სტუდენტობა, რომლის ერთმა ნაწილმა 1861 წელს „სტუდენტთა არეულობაში“ მიიღო მონაწილეობა და ამის გამო კრონშტადტის ციხეში მოხვდა. „ეს იყო პირველი ისტორიული ფაქტი, როდესაც ქართველი ინტელიგენცია რუსეთის თბოზიციურ ძალებთან ერთად გამოვიდა საბრძოლველად. ქართველ სტუდენტებს აღაფრთოვანებდა და ენერგიას მატებდა არა მარტო რუსეთისა და ევროპის მაშინდელი რევოლუციურ-თბოზიციური მოძრაობა, არამედ რუსეთის ის გონებრივი მოძრაობაც, რომლის სულის ჩამდგმელი და ხელმძღვანელი ნ. გ. ჩერნიშევსკი იყო. ჩერნიშევსკის ლიტერატურულ-მეცნიერულმა მოძღვრებამ, განსაკუთრებით მისმა სოციალურმა რომანმა „რა ვაკეთოთ?“ მეტად დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი 60-იანი წლების ახალ თაობაზე“*.

ამ ახალი თაობის სულისჩამდგმელი და წინამძღოლი იყო ნ. გ. ჩერნიშევსკის მოწაფე და მისი დიდი თაყვანისმცემელი ნიკო ნიკოლაძე, რომელმაც მეტად ძვირფასი მოგონება დაგვიტოვა სამოციან წლებზე და ქართველი ახალგაზრდობის დამოკიდებულებაზე ნ. გ. ჩერნიშევსკისადმი.

ჩვენ აქ მოვიტანთ ზოგიერთ ამონაწერს ამ მოგონებიდან, საიდანაც მკითხველი დაინახავს, თუ რამდენად ახლო იყო ნ. ნიკოლაძე ნ. გ. ჩერნიშევსკის ოჯახთან და რა დიდ დახმარებასა და მზრუნველობას უწევდა ეს ოჯახი საერთოდ პეტერბურგის სტუდენტობასა და, კერძოდ, ქართველ ახალგაზრდობას.

როდესაც ნ. ნიკოლაძე იგონებს ამ პერიოდს, ამბობს:

„შობის დღესასწაულების წინ (1861 წელს) ჩემთან მოვიდა ორი ახალგაზრდა და მომზიზღველი მანდილოსანი; ერთმა მათგანმა, უფროსმა, მითხრა, რომ ის არის ჩერნიშევსკის მეუღლე, და მთხოვა მეთხოვებინა მისთვის სამასკარადოდ ჩემი ჩერქეზული კოსტუმი (ჩოხა — ბ. გ.). ამ ქალის შესახებ მე ბევრი რამ მსმენოდა ამხანაგებისაგან, რომელნიც

* ნიკო ნიკოლაძე — ჩრეული ნაწერები, ს. ხუნდაძის რედაქციით, გვ.121—142.

გაეცნენ მას ჩვენი პატიმრობის დროს და ხშირი სტუმრებიც იყვნენ მის ოჯახში.

...მე მაშინვე შევესარულე მისი თხოვნა... ოღლა სოკრატოვნამ (ჩერნიშევსკის მეუღლე — ბ. გ.), როდესაც მიდიოდა, ბრძანების კილოთი და-მაგალა — „ხვალვე მოდით ჩემთან კოსტუმისათვის და ჩაიზე მე თქვენ გაგაცნობთ ჩერნიშევსკისო. მე არ მჯეროდა ჩემი ბედნიერება, სიხარულისაგან კინალამ გონება დაგვარაგე“. როდესაც მეორე დღეს, საღამოს, მივიდა ნიკოლაძე, „სტუმრები უკვე სასადილო დარბაზში უსხდნენ ჩაის... ჩერნიშევსკი ოთახში არ იყო. ოღლა სოკრატოვნამ მითხრა, ის მალე მოვაო. მაგიდის გარშემო ისხდნენ თორმეტამდე სტუმრები... სტუმრების უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველი სტუდენტები უმჯღლესი კურსებიდან, ახოვანი, ლამაზი ყმაწვილები, მშვენიერ ტანისამო-სით მორთულნი, წვერიით, რომელიც მაშინ მოღაში იყო... დარბაზში შე-მოვიდა ჩერნიშევსკი... მისმა მეუღლემ გააცნო ჩემი თავი მას და დაუ-მატა, რომ მე ერთ-ერთი ციხეში ნამყოფთაგანი ვარ. მან მღიზარე სახით მომცა რამდენიმე შეკითხვა ჩემი შთაბეჭდილების შესახებ, რომელზე-დაც ვაჭირვებით შეეძელი მეპასუხა აღლეების გამო... სხვა ქართველ სტუდენტების მსგავსად, რომელნიც ყოველდღე იყვნენ მათ სახლში, მეც მოვინათურდი.

ერთხელ, როდესაც ჩვენ, ქართველ სტუდენტთა ჩვეულებრივ საზო-გადოებაში, გარს ვუსხედით ჩაის მაგიდას და ჩერნიშევსკი თავის ჩვეუ-ლების წინააღმდეგ გამოვიდა სტუმრებთან ერთად ჩაის დასალევად, მისმა ცოლმა ჩემზე ლაპარაკის დროს უთხრა, რომ მე ერთადერთი კაცა-სიელი ვარ, რომელიც მას არ ეარშიყება, და ამისათვის მას მე განსა-კუთრებით უნდა ვუყვარდე. ყველამ გადიხარხარა... ყველაზე მეტი ჩერ-ნიშევსკიმ იცინა. მე არ ვიცოდი, როგორ გადამერჩინა ჩემი ამზანაგები, რომელნიც ქ-ნმა ოღლამ ასე დაურიდებლად გასცა თავის ქმართან.

...ჩერნიშევსკი იშვიათად გამოდიოდა ცოლის სტუმრებთან“.

ამის შემდეგ ნიკოლაძე მოგვითხრობს, თუ კიდეც უფრო როგორ დაუახლოვდა ჩერნიშევსკის ოჯახს და ერთ ზაფხულში როგორ დაბინავდა იგი ოღლა სოკრატოვნას თხოვნით მათ აგარაკზე პავლოვსკ-ში. ნიკოლაძე აღწერს ჩერნიშევსკის გარეგნობას, მის ხასიათს და ამ-ბობს: ჩემდაში დამოკიდებულებაში ჩერნიშევსკის ისე ეჭირა თავი, რო-გორც ბავშვთანო (ნ. ნიკოლაძე ამ დროს 18 — 19 წლის ჭაბუკი იყო — ბ. გ.).

„ერთხელ“ — ამბობს ნ. ნიკოლაძე — „ჩვენმა ამხანაგმა ევგენი პეჩატნიკმა ოღლა სოკრატოვნას შეატყობინა, რომ ჩერნიშევსკის აუცილებელი დატუსაღება მოეღოსო. მან შეაძლია ოღლა სოკრატოვნას ფული და პასპორტი სხვის სახელზე, რომლითაც ჩერნიშევსკის შეეძლო საზღვარგარეთ წასვლა..... ჩერნიშევსკიმ კატეგორიული უარი განაცხადა ამ თავაზიან წინადადებაზე. ის ჩემთან ამტკიცებდა, რომ ემიგრანტად გახდომით მოსწყდება რუსეთს, „მის საზოგადოებრივ მაჯის ცემას“ და უკან ჩამორჩენილი გადაიქცეოდა უსაქმო ყბედათ, ბუზლუნათ. ეს მისი სიტყვები მე ცხადლივ მახსოვს. ამ სიტყვებმა თითონ მე გადამარჩინეს შემდეგში ემიგრანტობისაგან.

...არ მახსოვს რამდენმა ხანმა განვლო ამ ლაპარაკის შემდეგ... როცა ჩერნიშევსკი პეტერბურგში იყო წასული, სადაც დაატუსაღეს, და თან წაიღეს ყველა მისი ქაღალდები.

...ჩერნიშევსკის ოჯახის წასვლის შემდეგ საშინელმა სევდამ შემიპყრო: მე ისევ ჩემს პატარა ოთახში გადავედი“.

1869 წელს, როდესაც ჩერნიშევსკი კატორიდან გაათავისუფლეს და მას ვილუსკის ციხეში პატიმრობა მიუსაჯეს, ნ. ნიკოლაძემ დიდად იზრუნა დ მხურვალე მონაწილეობაც მიიღო მისი საპყრობილიდან განთავისუფლების საქმეში.

ზიჩი დიდი პატივისმცემელი იყო ჩერნიშევსკისა და მასზედაც განსაკუთრებული ჭავლენა მოუხდენია მის ცნობილ რომანს, რომლის მიხედვითაც შეუქმნია რამდენიმე სურათი: „ქუჩა მოსეირნე წყვილებით“, „ვაჭრის ოჯახი“ და სხვ.

ზიჩის, ალბათ, კარგად ახსოვდა მიტინგი პეტერბურგში 1849 წელს, სადაც ერთ-ერთმა სტუდენტმა ხმა აღიმადლა უნგრეთში ინტერვენციის წინააღმდეგ. ეს სტუდენტი იყო ოცი წლის ახალგაზრდა ჩერნიშევსკი, რომელმაც თავის დღიურში ჩასწერა: „მე უნგრელების მეგობარი ვარ, მოსურნე ვარ რუსების იქ დამარცხებისა და ამისთვის მზად ვარ ბევრი რამ შევწირო“. როგორც ცნობილია, ჩერნიშევსკი შემდეგშიაც დიდ ყურადღებას აქცევდა უნგრეთის ამბებს, და მათ აკუთვნებდა საერთაშორისო მნიშვნელობას. თავის წერილებში, რომლებიც გამოქვეყნებულია 1857—1862 წლებში, მან სისტემატური მიმოხილვა გაუკეთა უნგრეთის პოლიტიკურ ცხოვრებას.

ზიჩის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმ ერთ-ერთ ბრწყინვალე ეტიუდას, რომელსაც „ციმბირის ტყვე“ ეწოდება.



ზინი — „ცემბერის ტყვე“



მასზე გამოხატულია ნ. გ. ჩერნიშევსკი ვილუისკის საპყრობილეში. მწოლიარე ვეფხის პოზაში; მტკიცე გამომეტყველებითაა წარმოდგენილი მხატვრის მიერ ეს შეუპოვარი რევოლუციონერი.

სამწუხაროდ, ეს სურათი დათარიღებული არ არის. როდესაც ამ საკითხს ეხება, ი. ბერკოვიჩი ამბობს: „1869 წელს ჩერნიშევსკიმ მოიხალა სასაჯელი. ხელისუფლებამ კი იმის შიშით, რომ ის საზღვარგარეთ არ წასულიყო, არ გაათავისუფლა ნ. გ. ჩერნიშევსკი, შემკული „გმირული წამების შარავანდედით“, განაგრძო მისი პატიმრობა ვილუისკის საპყრობილის ცხრაკლიტულში. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ დროს ეკუთვნის ზიჩის ჩანახატი „ციმბირის ტყვეც“. ამასთანავე პატივცემული მკვლევარი აყენებს საკითხს — როგორ შესძლო მხატვარმა უკვდავეყო ნ. გ. ჩერნიშევსკი უშუალო ინფორმაციით, თუ თავისი ფანტაზიის საშუალებით!

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს სურათი შექმნილი უნდა იყოს იმ დროს, როდესაც ზიჩი ახლო მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო ნ. ნიკოლაძესთან, ხშირად დადიოდა მის ოჯახში და იმდენად დაახლოებული იყო ამ ოჯახთან, რომ მონაწილეობასაც კი იღებდა მათ შინაურ საქმეებში. ამ მონაწილეობის შედეგი იყო ის, რომ ჩვენი ცნობილი მხატვარი დავით გურამიშვილი* ზიჩის რჩევითა და დახმარებით გაემგზავრა სამხატვრო აკადემიაში საზღვარგარეთ. პირველად ზიჩიმ მიაქცია ყურადღება გურამიშვილს როგორც მხატვარს.

არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობაც, რომ ამ სურათის შექმნაში დიდი როლი ითამაშა ზიჩისა და ნიკოლაძის მეგობრულმა დამოკიდებულებამ. ნ. ნიკოლაძე, რასაკვირველია, მრავალ საყურადღებო ცნობას მიაწვდიდა მხატვარს თავისი ახლო მეგობრის — ნ. გ. ჩერნიშევსკის — შესახებ.

როდესაც 1874 წლის დასაწყისში ზიჩი რუსეთს ტოვებდა, აღფრთოვანებული იყო დიდი რუსი რეალისტი მხატვრების სულით; მან შეიტვისა მათი შემოქმედების ღრმა იდეური შინაარსი და ცდილობდა გადმოეცა იგი თავისი მხატვრული საშუალებებით, — ამბობს ბერკოვიჩი. რეაქციამ არ აპატია მას რევოლუციური აზრებისადმი თანაგრძნობა: ზიჩიმ სასტიკი თავდასხმა განიცადა თავის სამშობლოში სურათისათვის „ბოროტი სულის ზეიმი“. ის იძულებული გახდა დაეტოვებინა უნგრეთი.

* დ. გურამიშვილი იყო ნ. ნიკოლაძის ცოლის ძმა.



სანამ სამშობლოს დასტოვებდა, მონიხულა თავისი ოჯახი ს. ზალაში, ზოლო 1880 წლის ბოლოს ის სამუდამოდ ტოვებს უნგრეთს და ისევ რუსეთში მოემგზავრება. ამავე წლის ზაფხულში იღებს ხანგრძლივ მივლინებას ლერმონტოვის ნაწარმოებთა დასასურათებლად და კავკასიაში მოდის. ამ დროიდან იწყება ზიჩის ცხოვრებასა და შემოქმედებაში ახალი პერიოდი, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული საქართველოსა და მისი კულტურის საუნჯის გამდიდრებასთან.

ზიჩი უკვე სამოც წელს იყო მიღწეული, როდესაც მან ინტიმურ პეგობრად გაიხადა თავისი მოწაფე ბალერინა ანა გუსევა. ამ დროს (1881—90) ზიჩი ერთდროულად ქმნის როგორც „ვეფხისტყაოსნის“, ისე ლერმონტოვის „დემონისა“ და ემ. მადაჩის „ადამიანური ტრაგედიის“ ილუსტრაციებს.

ამ პერიოდში ხანდაზმული მხატვარი არ კარგავს იმის იმედს, რომ ერთხელაც იქნება „მეფის ტახტი დაემხოზა“ და მამინ „მთელი ქვეყანა იმზიარულებს ღვინით საჯსე ფიალითა და სიმღერებით“.

თუმცა თვითონ ვერ მოესწრო ამ მზიარულებას, მაგრამ სიკვდილის კარზე მისულს მოუსწრო რევოლუციის პირველმა განთიადმა. მან მაშინ დახუჭა სამუდამოდ თვალი, როდესაც 1905 წლის რევოლუციამ შეარყია თვითმპყრობელობის ხავსმოციდებული კედლები.

საქართველოში მოსვლა და „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება

საქართველოში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელიც არ იცნობდეს შოთა რუსთაველის უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“ და იმ სურათებს, რომელთაც ლამაზი ქართული ასოებით აქვთ მიწერილი „ზიჩი“.

მკითხველს დღესაც ანიჭებს ზიჩის სურათები დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას, მაგრამ ყველამ როდი იცის, თუ როგორ შეიქმნა ეს სურათები და რა მონაწილეობა მიიღო მათ შექმნაში ქართულმა საზოგადოებამ.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ქართველმა მოწინავე ინტელიგენციამ გადაწყვიტა განეხორციელებინა „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებული მდიდრული გამოცემა და ამ საქმისათვის სანჯადისს შეუდგა.

დამსურათებლად მოიწვიეს იმ დროს კარგად ცნობილი მხატვარი ზიჩი, ფრიად დახელოვებული კლასიკური ლიტერატურის ილუსტრირებაში, ხოლო გამოცემის შემამკობლად — მხატვარი ქსილოგრაფი გრიგოლ ტატიშვილი.

ზიჩიმ კმაყოფილებით მიიღო დავალება და უყოყმანოდ შეუდგა ამ რთული სამუშაოს შესრულებას.

დავალების მიღებისთანავე ზიჩიმ შეარჩია სასურველი ტიპაჟი და „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრირება ცოცხალი სურათების დადგმით დაიწყო. მან შექმნა მრავალი ესკიზი და დაკვეთილი თორმეტი სურათის ნაცვლად ოცდაათობმეტი დაამზადა. როდესაც აქედან საგამომცემლო კომისიამ ოცდაშვიდი შეარჩია და ვენაში გადაგზავნა დასაბეჭდად, ზიჩიმ თვით იკისრა მათი მეთვალყურეობა. სრულ რვა წელიწადს თავს დასტრილებდა იგი ამ საქმეს.

„ვეფხისტყაოსნის“ დასურათებისათვის მან არც დრო დაიმურა,



არც თავი დაზოგა და უსასყიდლოდ მიუძღვნა ქართველ ხალხს დიდ ოსტატობითა და სიყვარულით შესრულებული მხატვრობა.

მას შემდეგ, რაც გამოვიდა ქართველი შვილისეული „ვეფხისტყაოსანი“, უნგრეთის მოქალაქე მხატვარი ზიჩი ქართველი ხალხის საყვარელი ადამიანი გახდა.

ზიჩის საქართველოში ყოფნისა და მისი მუშაობის შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებზე მეტად მცირე ფაქტობრივი მასალა მოგვეპოვება. ეს მასალაც გაბნეულია რვა წლის მანძილზე თბილისის ქართულსა და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში, უმთავრესად კი „დროებასა“ და „ივერიაში“.

ფრიად საინტერესო ცნობებს შეიცავს აგრეთვე იონა მეუნარგიას პირადი წერილები, რომელთა ერთი ნაწილი გამოაქვეყნა განსვენებულმა სოლომონ ცაიშიელმა ზუგდიდის მუზეუმის „შრომების“ პირველ ტომში.

ამასთანავე, როდესაც „ვეფხისტყაოსანი“ გამოვიდა, გამომცემელმა გ. ქართველიშვილმა, ბოლოსიტყვაობის სახით, მცირე განმარტება დაურთო მას გაფორმების საკითხის გამო. ეს განმარტება იმდენად საინტერესო მასალას წარმოადგენს საერთოდ ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორიისათვის და, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ გაფორმების საკითხის შესწავლისათვის, რომ იგი აქ თითქმის მთლიანად მოგვეყავს:

„პირველი აზრი სურათებიანი „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვისა დაიბადა მაშინ, როდესაც ბ. იონა მეუნარგიას თაოსნობით შემდგარმა კომისიამ შეამოწმა ამ პოემის ტექსტი ძველ ვარიანტებთან.

სურათების დახატვა ამ წიგნისათვის იკისრა ზიჩიმ, რომელსაც ამ დავალებისათვის უსაზღვრო მადლობას ვუძღვნით. ზიჩის ხელით დახატულიდან ფოტოცინკოგრაფიით ვენაში ანგერერმა გადაიღო, ჩოლო ფერადებიანი სურათი გაკეთებულია პეტერბურგის ბრეზეს ქრომოლითოგრაფიაში.

არსებები, სათაური ასოები და საბოლოოები შეადგინა გრიგოლ ტატიშვილმა და ამოსტერეს პეტერბურგში ლემანმა და მეიმ. მხატვრობა ამ მორთულობისათვის გადმოღებულა ძველის მწერლობიდან და საქართველოს ციხე-ეკლესიებშია, მხოლოდ ზოგიერთი ამ მხატვრობათაგანი უფრო დამთავრებული და დასურათებულია. თითქმის ყოველ მონასტერსა და ციხეს, — მცხეთას, უფლისციხეს, ბეთანიას, ქუთაისს, გე-



ლათს, საფარას, კაბენს, ახტალას, ფიტარეთს, სამთავისს, ატენს — თავისი წილი უღვეს ამ წიგნში, თავისი კვალი აქვს აღბეჭდილი.

ბეჭდვის დროს ყურის გდება თავს იღვა ივანე გიორგისძე მაჩაბელმა, რომელსაც ეკუთვნის ამ წიგნის უკანასკნელი რედაქცია.

მარტის 20, 1888 წ.“.

„ვეფხისტყაოსნის“ ძვირფასი გამოცემის ინიციატორი და სულისჩამდგმელი, როგორც წიგნის ბოლოსიტყვაობიდანაც ჩანს, იყო იონა მეუნარგია.

1874 წელს მეუნარგია გამორიცხეს თბილისის სასულიერო სემინარიის უკანასკნელი კლასიდან თავისუფალი აზრებისადმი მისწრაფების გამო. ამავე წელს იგი გაემგზავრა ენევავში სწავლის გასაგრძელებლად. იქ მას დახვდნენ მომავალი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები და მხატვრები: ს. მესხი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ალ. სარაჯიშვილი, დ. გუზარაძე და სხვები. ოთხი წლის შემდეგ იონა მეუნარგია პარიზში გადადის, უახლოვდება იესურ ქართველობას, ეცნობა საფრანგეთის გამოჩენილ მწერლებსა და მოღვაწეებს. ევროპაში ზანგრძლივად ყოფნამ, ადგილობრივ ცხოვრებაზე დაკვირვებამ, განსაკუთრებით ვ. ჰიუგოსთან შეხვედრამ და მასთან საუბარმა, დაარწმუნა იგი, რომ საქირთა „ვეფხისტყაოსნის“ საგანგებო გამოცემა როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე.

ამ რწმენით გატაცებული ი. მეუნარგია 1880 წელს ბრუნდება სამშობლოში. ჩამოსვლისთანავე მას ირჩევენ ახლად დაარსებულ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივნად.

ამ საზოგადოების დაარსებამ (1879 წ.), როგორც ცნობილია, ქართული კულტურის ისტორიაში ფრიალ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა: მასი დაარსების დღიდან ფართო მასშტაბით იწყება ეროვნულ-კულტურული აღორძინება. ქალაქებსა და სოფლებში ეწყობა სახალხო სკოლები და სამკითხველოები, იბეჭდება მხატვრული, მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურა, გროვდება ხალხური შემოქმედების მასალები და ძველი ხელთნაწერები. საზოგადოება კავშირს აბამს როგორც რუსეთის, ისე საზღვარგარეთის სხვადასხვა მეცნიერულ დაწესებულებასთან. მატერიალურ დახმარებას უწევს მოსწავლე ახალგაზრდობას. ამ დროს განმტკიცდა ქართველ მოღვაწეთა შორის „ვეფხისტყაოსნის“ საგანგებო გამოცემის აუცილებლობის აზრი.

პ. ბ. გორდენიანი, ზიხი საქართველოში



ქართველიშვილმა იკისრა „ვეფხისტყაოსნის“ საგანგებო გამოცემა საკუთარი ხარჯით. ამ ამბით გახარებულმა რ. ერისთავმა, ი. ფოგებაშვილმა და ი. მეუნარგიამ გაზეთ „დროებაში“ (1880 №241) გამოაქვეყნეს შემდეგი მოწოდება: „დიდი ხანია განზრახვა გვექონდა დასტამბული „ვეფხისტყაოსანი“ შეგვეთანხმებინა ხელნაწერ „ვეფხისტყაოსანთან“... ვისაც აქვს, დროებით გადმოგვიგზავნონ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიაში ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც შემდეგ შესწორებისა დაუბრუნდება პატრონს უკლებლივ და ყოვლის ნიზეზის გარეშე“.

გაზეთ „დროების“ რედაქცია აღტაცებით შეეგება ამ განცხადებას და საგანგებო წერილიც მიუძღვნა მას. ამის შემდეგ დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების დაგროვება და სარედაქციო კომისიის მუშაობა. მასში გარეშე პირნიც მონაწილეობდნენ. კომისიის მდივანი ი. მეუნარგია თანმიმდევრობით აქვეყნებს კომისიის მუშაობის ოქმებს. საზოგადოება აქტიურად ეხმაურება ამ წამოწყებას; შემოდის წინადადება შოთა რუსთაველის ძეგლის დადგმის, ბიუსტის ჩამოსხმისა და სხვათა შესახებ.

სწორედ ამ დროს (1881 წ.) საქართველოში ჩამოდის სახელოვანი მხატვარი ზიჩი. ის ჩამოსვლისთანავე ხატავს ძველ თბილისსა და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ნარიყალას ციხეს.

საქართველოში ზიჩის ჩამოსვლის შესახებ პირველი ცნობა გამოქვეყნებულია გაზეთ „დროებაში“.

„ამჟამად ჩვენ ქალაქში იმყოფება გამოჩენილი მხატვარი ზიჩი. ის მოსულია ჩვენში იმ განზრახვით, რომ შეისწავლოს ჩვენი ტიპები და დახატოს რუსის პოეტის ლერმონტოვის პოემის „დემონის“ სურათებისათვის. დახატოს აგრეთვე ზოგიერთი სურათები ბუნებისა, რომელნიც ამ პოემაში არიან მოხსენებული და აღწერილი“ („დროება“, 1881, № 229, 21 ოქტომბერი).

გაზეთ „დროების“ იმავე ნომერში მოთავსებულია მეორე ცნობა, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების დადგმას შეეხება და ფრიად საინტერესოა ჩვენთვის. ამ ცნობაში სწერია:

„დღევანდელს ქართულ წარმოდგენაზე, სხვათა შორის გამართული იქნება ერთი ცოცხალი სურათი „ვეფხისტყაოსნიდან“, ის სურათი, როდესაც ასმათი კოშკში მოიყვამს ტარიელს ნესტან-დარეჯანთან“.

ამ ცნობიდან ბევრი რამ ჩანს: პირველი ის, რომ ზიჩი ოქტომბერზე



ზაჩი — თბილისი, (1881).

საქართველოს
სამეცნიერო
სამუშაოების
სამსახური

ადრე ყოფილა ჩამოსული საქართველოში, თორემ ის როგორ მოასწრებდა ცოცხალი სურათის გამართვას, მეორე, ზიჩისათვის რუსთაველი უცნობი არ ყოფილა, მას რუსთაველის დასურათების აზრი თბილისში არ დაბადებია. ეს აზრი ალბათ მაშინ დაებდა, როდესაც საზღვარგარეთ იმყოფებოდა სამოცდაათიან წლებში და დიდ პროგრესულ მოღვაწეობას ეწეოდა. ფრიად საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის ერთ-ერთი ინიციატორი იონა მეუნარგია იმავე წლებში იმყოფებოდა საზღვარგარეთ და იქ მყოფ მოღვაწეებთან ერთად მომავლის გეგმებს ადგენდა.

ი. მეუნარგიას წერილებიდან არ ჩანს, იცნობდა თუ არა იგი ზიჩის საქართველოში ჩამოსვლამდე, მაგრამ, უეჭველია, ზიჩი ვიქტორ ჰიუგოსთან და თეოფილ გოტიესთან გაეცნო „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის იდეას. ამ გარემოებს, როგორც ვნახებთ, გაკვრით აღნიშნავს ზიჩის ბიოგრაფი ბენი ლასლონე.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს ჩაენერგა ზიჩის რუსთაველისადმი სიყვარული და სურვილი — ენახა ის ქვეყანა და ის ხალხი, რომელმაც რუსთაველი წარმოშვა.

სამეფო კარზე მომუშავე მხატვრისათვის ეს არცთუ ისე ადვილი საქმე იქნებოდა, მაგრამ ლერმონტოვის ნაწარმოებთა დასურათების განგრძობის საჭიროებამ, უნდა ვიგულისხმოთ, ამ სურვილის შესრულება რეალური გახადა მისთვის.

ზიჩი ჩვეულებრივი წესით არ იწყებს მუშაობას „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებაზე. ის ინსტიტუტურად ახორციელებს დიდი ილიას სიტყვებს: ვისაც რუსთაველზე წერა (ან ხატვა — ბ. გ.) უნდა, შეითვისოს იგი არა ჭკუით მხოლოდ, არამედ გულითაც, უნდა იგრძნოს მისი გმირების სულსკეფთება, ჩასწვდეს ქართველი კაცის გულის სიღრმეს, იგრძნოს მისი მაჯისცემა, — ეს იქნება ქართველი კაცის ნამდვილი სულისტემა, მისი რწმენა, მისი სამართლიანი განსჯა*.

ზიჩი სწორედ ამ გზაზე დგება: ხალხში ეძებს ტექსტის მხატვრულ გასაღებს; სათანადო ტიპაჟის შერჩევის შემდეგ, როგორც კარგი რეჟისორი, ჰქმნის კომპოზიციას და დგამს ცოცხალ სურათებს „ვეფხისტყაოსნიდან“. ხალხის გაცნობის მიზნით ის მიდის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ამზადებს მასალებს ცოცხალი სურათების დასადგმელად.

* ი. მანსვეტაშვილი — მოგონებანი, გვ. 93.

როგორ ხდებოდა ცოცხალი სურათების დადგმა?

ზიჩის წინასწარ ჰქონდა შერჩეული პოემიდან ის მთავარი ადგილები, რომლებიც უნდა დაესურათებინა. პოემის მიხედვით გამოახავდა შესაფერ ტიპებს, ჩააცმევდა მათ სათანადო ტანისამოსს, ისე, როგორც ეს ხდება თეატრში, დააყენებდა მათ სცენაზე მუხჯ მდგომარეობაში, მოუწყობდა საჭირო განათებას; სცენის უკან რომელიმე მსახიობი კითხულობდა პოემიდან სურათის შესაბამის ტექსტს. მსაყურებელი ამ სანახაობით ხარობდა, ხოლო თვით ზიჩი მისთვის ჩვეული სისწრაფითა და დაკვირვებით აკეთებდა ჩანახატებს. ამ საქმეში ხალხი მას დიდი ხალისით ეხმარებოდა.

ერთხელ, მავალითად, ზიჩის თავისი მხატვრობისათვის დასჭირდა ქართული ცეკვა და უთქვამს: თუ კარგ ლეკურს მიჩვენებენ, ცოცხალ სურათებს დაედგამო. ერთ კვირასაც არ გაუვლია ამ სურვილის გამოცხადებიდან, რომ ქართული თეატრის დასს შეუტყრებია ასამდე ქალი და კაცი, მათ შორის განთქმული მოცეკვავენი, შეუტყრავთ მათთვის ძვირფასი ქართული ტანისამოსი, დაუხატავთ ახალი დეკორაციები ზიჩის ესკიზების მიხედვით. მარტო ტანისამოსზე და დეკორაციებზე ას თუმანზე მეტი დახარჯულა.

დანიშნულ დროს (1882 წლის 6 თებერვალს), მართლაც, დიდი წარმატებით დაუდგამს ზიჩის დაპირებული ათი ცოცხალი სურათი.

ამ ამბავს ვრცელი წერილით გამოუმთაურა გაზეთი „დროება“.

„დღეს ჩვენს ქალაქში სტუმრად არის იმპერატორის სასახლის მხატვარი ბ-ნი ზიჩი, რომელიც განთქმულია, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ თავისი ნიჭითა და ხელოვნებით. ვის არ უნახავს მხატვრობა „დემონისა“. ახლა ზიჩიმ დიდი ღვაწლი დასდო თავის შრომით საქართველოს. იმან განახორციელა და სული ჩაუდგა იმ გმირებს, რომელნიც უკვდავმა შოთა რუსთაველმა მშვენიერის ლექსით გამოხატა... რამდენიმე საათში ზიჩიმ დაგვანახვა ჩვენ სცენიდან ცოცხლად რუსთაველის გმირნი და გადმოგვცა მთელი შინაარსი „ვეფხისტყაოსნისა“. ამ შემთხვევაში მიიღეს მონაწილეობა ჩვენმა ქართველმა ქალებმა, რომელნიც არიან ჩვენში გამოჩენილი თავისი სილამაზით, სინაზით და სახის მეტყველებით. ამათ თავის თვისებით და ჩაცმა-დახურვით წარმოგვიდგინეს... ის ქალები, რომელნიც სცხოვრობდნენ... რუსთაველის დროს. ნეტარება იყო ის ათი ცოცხალი სურათი, რომელიც ჩვენა ვნახეთ 6-ს თებერვალს. ბევრი სურათები გვიანახავს სცენაზე, მაგრამ ამ

სურათებს არა შეედრება რა, ეტყობა, რომ აქ მოქმედი პირი პოეტო მეცნიერი კაცი იყო. თუმცა ამ პოეტმა, მხატვარმა ზიჩიმ ქართული არ იცის, მაგრამ საქართველოს მდიდარმა ბუნებამ შთააგონა, გააგებინა მას დიდებული რუსთაველის აზრი და მით წარმოუდგინა იმის გრძნობას გმირნი „ვეფხისტყაოსნისა“. ზიჩიმ გააცოცხლა ჩვენი მკვიდარი ქართველნი. ამ ცოცხალ სურათებს მთელს რუსეთში და ევროპაში ექნება დიდი მნიშვნელობა რუსთაველისა, საქართველოსა და იმის შვილების გასაცნობად.

...ურთიერთ არ იქნება, რომ ეს ამისთანა შრომა ბ-ნი ზიჩისა ჩვენ, ქართველებმა, დავაგვირგვინოთ რაიმე ნივთის მირთმევით რასაკვირველია, ძველს დროის ნივთითა, რომ სახსოვრად ჰქონდეს რუსთაველის შვილებისაგან“ („დროება“, 1882, № 27).

ცოცხალი სურათების დადგმის დროს ზიჩი თბილისით არ კმაყოფილდება: ის მიემგზავრება ქუთაისში, ეცნობა იქაურ საზოგადოებას, არჩევს შესაფერ ტიპაჟს და იქაც დიდი წარმატებით დგამს ცოცხალ სურათებს.

ზიჩი ცოცხალი სურათების მრავალ ვარიანტს ქმნიდა და შემდეგ ანზოგადებდა მათ; საბოლოოდ აზუსტებდა კომპოზიციას, აყალიბებდა ტიპაჟს და მრავალნაირი შესწორება შეჰქონდა ნაუცბადევედ გაკეთებულ ჩანახატებში.

თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ეს შესწორება, ამის ნიმუშად აქ მოვიტანთ ქუთაისში დადგმულ ერთ-ერთ ცოცხალი სურათის — „ვეფხისტყაოსნის“ მირთმევის სცენას*, და შევადარებთ საბოლოოდ ჩამოყალიბებულ და გამოქვეყნებულ ამავე სურათთან, — ვნახავთ, რომ ძალიან ცოტა რამ აქვს საერთო ამ პირველ ვარიანტს საბოლოოდ დადგენილ სურათთან**. ამ შედარებიდან ნათლად ჩანს მხატვრის მუშაობის მეთოდი, განზოგადების დიდი უნარი და ბრწყინვალე მხატვრული ოსტატობა.

ცოცხალი სურათების დადგმის ამბავი „ვეფხისტყაოსნიდან“ სწრა-

* დედანი (ფოტო) ინახება საქართველოს თეატრალურ მუზეუმში. დედანზე აღნიშნული ცოცხალი სურათის შესრულების თარიღი, 1875 წელი, სინამდვილეს არ შეეფერება: ამ დროს ზიჩი ბარჩხში იმყოფებოდა. ცოცხალი სურათები როგორც ქუთაისში, ისე თბილისში ზიჩის მიერ იღებებოდა 1881-82 წლებში.

** იხ. ამ წიგნის დასაწყისში ჩართული სურათი — „ვეფხისტყაოსნის“ მირთმევა.



ზიზი — «ვეფხისტყაოსნის» მირთმევა (პირველი ვარიანტი)

ფად მოედო მთელ საქართველოს, ქალაქები გამოსთქვამენ სურვილს — მათთვისაც ეჩვენებინათ ეს სურათები.

ცოცხალი სურათების დადგმის ასეთმა გახმაურებამ რუსეთის სამეფო კარამდე მიაღწია. იქ, როგორც ჩანს, არ მოეწონათ კარის მხატვრის ასეთი გულისხმიერება. მოვიდა მოთხოვნა ზიჩის მუშაობის შემოწმებისა, ყველა სურათის გადაღებისა და პეტერბურგში გაგზავნისა, რაც დაუყოვნებლივ იქნა შესრულებული პოლიციის მიერ.

ცოცხალი სურათების დადგმებში მონაწილეობას იღებდნენ იმ დროს ცნობილი ადამიანები, რომლებიც განთქმული იყვნენ როგორც თავისი გარეგნობით, ისე ცეკვითა და საკრავებზე დაკვრის ოსტატობით. როგორც თვით სურათებიდან ჩანს, ზიჩი, გარეგნობასთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მონაწილეთა სახის ტიპიურ და მხატვრულ გამომეტყველებას. ინტერესს მოკლებული არ არის ვიცოდეთ ამ ადამიანთა ვინაობა, განსაკუთრებით მათი, ვინც მთავარი გმირების როლებს ასრულებდა. ამის შესახებაც მოიპოვება რამდენიმე ცნობა. „დროების“ ერთ-ერთ წერილში ნათქვამია:

„წარსულ კვირას კიდევ გაიმართა ეს სურათები და კიდევ ერთხელ აივსო გული წარსული ნეტარების მოგონებით. იქამდისინ მშვენიერნი იყვნენ ეს სურათები, რომ მტერი თუ მოყვარე, ქართველი, რუსი, გერმანელი, თათარი — ყველანი აღტაცებაში მოიყვანა. ამ უკანასკნელ გამართულ სურათებს კიდევ ერთი მოემატა: შოთა რუსთაველი დაჩოქილი მიართმევს პოემას — „ვეფხისტყაოსანს“ თამარ დედოფალს. თამარ დედოფალი წარმოგვიდგინა მ. იოსელიანის ქალმა და შოთა რუსთაველი — დ. ზ. სარაჯიშვილმა. ორივე ისე შვენოდნენ, ისე უხდებოდათ, ისე ლაზათიანი იყვნენ, რომ კაცს გული ნატრობდა ფარდის ჩამოშვების დაგვიანებას“....

იმ პირთა შორის, რომლებიც ცოცხალ სურათებში მთავარ როლებს ასრულებდნენ თბილისში, იყვნენ:

თამარ დედოფალი — მ. იოსელიანის ქალი, შოთა რუსთაველი — დ. ზ. სარაჯიშვილი, თინათინი — ს. ჩოლოყაშვილი, მეფე როსტევეანი — რაფიელ ერისთავი, მეფე ფარსადანი — ვ. თარხნიშვილი, ტარიელი — ბარათაშვილი, ნესტან-დარეჯანი — ნ. თვლობიძე (ორბელიანის ასული), ავთანდილი — აფხაზი („დროება“, 1881, № 226. 1882, № 39. „კავკაზი“, 1882, № 36).

ქუთაისში: თამარ მეფე და თინათინი — ნ. წერეთელი-ჩოლოყაშვილისა, შოთა რუსთაველი — მამია გურიელი, ტარიელი — ვ. შერვაშიძე, ნესტან-დარეჯანი — ფაღავა, როსტევეან მეფე — ქაიხოსრო ქაჯაია, ფრიდონი — ჯაბა გურიელი („დროება“, 1882, №115).

ამასთანავე არსებობს გადმოცემა, რომ საქართველოში ყოფნის დროს ტარიელის სურათს ზიჩი დავით მიქელაძის (მეველე) გარეგნობას უდებდა საფუძვლად, ხოლო როდესაც ზიჩი წავიდა პეტერბურგში და წაიღო ჩანახატები, იქ იგი ხშირად ხვდებოდა დავით გურამიშვილს (ნ. ნიკოლაძის ბინაზე), და პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის სტუდენტს, შემდეგში განთქმულ ქართველ მხატვარს — გიგო გაბაშვილს. „ზიჩი, გიგო გაბაშვილი და დავით გურამიშვილი ხშირად დადიოდნენ პეტერბურგის მანქეში. იქ გაბაშვილი ცხენების ეტიუდებს ხატავდა, ხოლო ზიჩი ცხენით მოჯირითე დავით გურამიშვილის მიხედვით „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების პირველ ჩანახატებს ქმნიდა.“*

მიხეილ გორგიძემ ეურ. „საბჭოთა ხელოვნებაში“ (1959, № 9) გამოაქვეყნა ფრიალ საინტერესო წერილი „ვეფხისტყაოსნის“ ზიჩისეული ილუსტრაციების გმირთა პროტოტიპების შესახებ, სადაც, სხვათა შორის, წერს:

„იქ პირთავან, რომლებიც გაზეთ „დროების“ ცნობით ზიჩიმ გამოიყენა „ვეფხისტყაოსნის“ იმირების განსახიერებისათვის, ჩემ მიერ მიკვლევულ იქნა ზოგიერთის ფოტოსურათი, რომლებსაც ვაქვეყნებთ“.

შალვა დადიანმა, რომელიც პირადად იცნობდა ზიჩის მიერ შერჩეულ პიროვნებებს, გადმოგვცა, რომ გიორგი შერვაშიძე, რომელიც მხატვარმა გამოიყენა ტარიელის სახისათვის, გამოირჩეოდა თავისი ვაქეცურით იერით, სილამაზითა და ჭკვიანი სახით, ზიჩი მას სთვლიდა საუკეთესო ქართველ ტიპად**. ერთ-ერთი ესკიზისათვის მას დაუხატავს თათარხან დადემეკლიანიც. შ. დადიანმა აგვიწერა აგრეთვე რუსეთ-თურქეთის

* ქ. ბაგრატიშვილი — მხატვარი დავით გურამიშვილი; გაზ. „ლიტერატ. და ხელოვ.“ 1951 წ. 12 -- VIII.

** ილია ჭყონიას დამოწმებით აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია წერს: „გიორგი შერვაშიძის მოქცევისა და ზრდილობის ძველებურ წესებს სავალდებულო ნიშნად სთვლიდნენ. ფიზიკურადაც ის საუკეთესო ტიპი იყო. საყოველთაოდ განთქმული სილამაზისა... ზიჩა შერვაშიძეს უღამაზეს, კაცად სთვლიდა თურმე, ტარიელის ხორციელი განსახიერებისათვის უფრო შესაფერ კობეკტს ვერ პოულობდა“.

ომის გმირი, წარმოსადგევი წვეროსანი ქაიხოსრო ქაჯაია, რომელიც მოხ-
დნილად გამოიყენა მხატვარმა როსტევან მეფის სახისათვის. პირველ
ილუსტრაციებში — „შოთა შიხრთმევს თავის პომეს თამარ მეფეს“ —
მისივე ცნობით თამარის გვერდით დგანან — ანტონ წულუკიძე (გან-
სვენებული აკადემიკოსის პროფ. გ. წულუკიძის მამა), და აქვე, წინ —
ახოვანი და დინჯი დიმიტრი წერეთელი გორიდან“.

როგორც ვხედავთ, ზიჩის მიერ დაწყებულ საქმეში მონაწილეობას
ღებულობდნენ როგორც ულამაზესი მანდილოსნები, ისე მწერლები.
მხატვრები, საზოგადო მოღვაწეები, სამხედრო პირნი და სხვ.

ერთ-ერთ წერილში, რომელიც ამ დროს საქართველოდან იყო გაგ-
ზავნილი უნგრეთში ზიჩის მიერ, ის წერდა: რუსთაველის კითხვის დროს
(იგულისხმება ცოცხალი სურათების დადგმა — ბ. გ.) ხალხით სავსე
დარბაზის აღტაცებას საზღვარი არა აქვსო.

რაც შეეხება ეროვნული სპეციფიკის გამომსახველ ტიპთა გამოყე-
ნებას, უნდა ვთქვათ, რომ ზიჩიმ აქაც დიდი მხატვრული ალღო გამოი-
ჩინა. ჩვენ ტყუილად დავუწყებთ ძებნას რუსთაველის ილუსტრაციებში
ამ ტიპთა ფოტოგრაფიულ, ზედაპირულ გამოხატულებას — ზიჩიმ მათი
გარეგნობა, გამომეტყველება, ხასიათი და ქცევა განაზოგადა, მისცა მათ
დრმა რეალისტური სახე და ქართული ეროვნული კოლორიტით ცოცხ-
ლად განასახიერა.

თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ცოცხალი სურათების დადგმა,
ეს სწინს უამრავი გამოსმაურებიდან: გარდა საქართველოსი, სადაც გა-
მუდმებით იდგმებოდა ცოცხალი სურათები, რუსეთსა და უკრაინაშიაც
ვხედავთ ასეთ სურათებს; ხალხი იქაც დიდ ინტერესს იჩენს ამ სურათე-
ბისადმი, ასე, მაგალითად, 1886 წელს პეტერბურგში გაიმართა კავკა-
სიური საღამო, სადაც პროფესორ ლაგორის ხელმძღვანელობით დაიდგა
ცხოველი სურათები „ვეფხისტყაოსნიდან“. იმავე წელს მოსკოვში სტუ-
დენტთა სადამოსათვის თ. ლ. სოლოგუბმა დადგა ცოცხალი სურათები
„ვეფხისტყაოსნიდან“. ცოცხალი სურათები დაუდგამთ იურიევში (ტა-
ლინი), ხარკოვში, ვლადიკავკავში (ორჯონიკიძე), ხარბინში და სხვაგან.
ცოცხალი სურათების ამბავს ევროპამდეც მიუღწევია.

1900 წელს თბილისში ჩამოდის მოგზაური ჯონ მოსისი, რომელიც
თბილისსა და ქუთაისში ხალხს უჩვენებს ზიჩისაგან ლაიპციგში დადგ-
მულ ცოცხალ სურათებს — ბუნდოვან სურათებად.



1908 წ. ცოცხალი სურათები „ვეფხისტყაოსნიდან“ დაუდგამთ ბრიუსელში*.

თათქმის ორი წლის მუშაობის შემდეგ ცოცხალი სურათებიდან დაძინებული უამრავი ჩანახატი ზიჩიმ პეტერბურგს წაიღო, ხოლო თბილისში შედგა საგამომცემლო ტექნიკური კომისია, რომელსაც მიენდო „ვეფხისტყაოსნის“ როგორც საბოლოო სტილისტური რედაქციის, აგრეთვე მისი პოლიგრაფიული გაფორმების ხელმძღვანელობაც. ამ კომისიას მრავალი რთული საქმე გაუჩნდა: კომისიის მოვალეობას შეადგენდა როგორც წიგნის დაბეჭდვა და ზიჩის მიერ სურათების დახატვის საქმის მოგვარება, ისე „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღდგენაც; ამ კომისიას უნდა გადაეთარგმნა აგრეთვე ზიჩისათვის ფრანგულ ენაზე დასასურათებლად შერჩეული ტექსტები; კომისიას უნდა ეწარმოებინა, ამასთანავე ყოველგვარი მიმოწერა გამოცემის თაობაზე; მას უნდა შეეკვეთა და გამოეწერა ახალი შრიფტი, სათაური ასოები, შესამკობი ნახატები და სხვა სამკაულები; მასვე უნდა გაეწია ხელმძღვანელობა როგორც ტექსტის, ისე სურათების დაბეჭდვისათვის საქართველოში, პეტერბურგსა და უცხოეთში. როდესაც ყოველივე ამას გაითვალისწინებთ, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ კომისიას, მართლაც, დიდი შრომისა და ჯაფის გაწევა დასჭირდა „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვის დროს. კომისიის თავმჯდომარე იყო ილია ჭავჭავაძე, წევრები — რ. ერისთავი, დ. ბაქრაძე, ი. მეუნარგია, პ. უმიკაშვილი და ივ. მაჩაბელი.

პირველ რიგში ზიჩისათვის უნდა მიეწოდებინათ სრული თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“ ფრანგულ ენაზე, რათა მას საშუალება ჰქონოდა უფრო ღრმად და დაკვირვებით გასცნობოდა შოთას ქმნილებას, მოქმედ პირთა ხასიათსა და გარეგნობას, აგრეთვე მისთვის საჭირო მრავალ დეტალს.

ამ რთული საქმის შესრულება დაევალა ფრანგულის კარგ მცოდნეს, კომისიის წევრსა და გამოცემის მთავარ მოამაგეს იონა მეუნარგიას.

ილია ჭავჭავაძე კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე პირდაპირ მოითხოვს მეუნარგიასაგან, რომ მან უფრო დაჩქარებით თარგმნოს „ვეფხისტყაოსანი“ ზიჩისათვის, ვინაიდან მხატვარს „უკვე მოუთხოვია ამ პოემის ტექსტი“.

* უფრო ვრცელ იხილეთ. დ. ჯანელიძის წერილი — „რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“ თეატრსა და დრამატურგიაში“.

ი. მეუნარგია ამ დავალებას გასაოცარი სისწრაფით ასრულებს. იმ დროს საქართველოში მყოფი უცხოელი მწერლების ე. მურიესა* და სუტნერების** დახმარებით. ორი თვის შემდეგ „დროებაში“ ვკითხულობთ:

„ი. მეუნარგიას თარგმანი, როგორც შევიტყუეთ, ამ დღეებში გაეგზავნება მხატვარ ზიჩის სახელმძღვანელოდ იმ სურათების დახატვისათვის, რომელნიც უნდა „ვეფხისტყაოსნის“ მდიდრულს გამოცემას ჩაერთოს. ფრანკიულად ეს ხელნაწერი გაზაფხულზე იქნება დაბეჭდილი პარიზში („დროება“, 1884. № 257).

როგორც ჩანს, ეს თარგმანი იმდენად დამაკმაყოფილებელი ყოფილა, რომ კომისიის თავმჯდომარეს — ილია ჭავჭავაძეს — განუცხადებია: „ვითა მზის შუქით პნათობს მთოვარე, ისე რუსთველის შუქით იმნათობებს მეუნარგიაც დღეის იქით ჩვენ მოდგმწეთა შორისო“ — („დროება“, 1884, № 260)***.

თარგმანი გადაუგზავნეს ზიჩის. ი. მეუნარგიამ ეს ამბავი სასწრაფოდ აცნობა ნიკო ნიკოლაძეს, რომელიც იმ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა, და სთხოვა დაუყოვნებლივ ენახა ზიჩი. აი ეს წერილიც:

* მურიე ვიული — ფრანგი ორიენტალისტი, ჟურნალისტი, ავტორი რომანისა „სამეგრელო“. თბილისში უშვებდა მხატვრულ ჟურნალს ფრანგულ ენაზე „ილუსტრირებული კავკასია“ 1889-93 წლებში.

** სუტნერი — გერმანელი მწერალი-ჟურნალისტი. ცოლ-ქმარი სუტნერები 70 წლებში საქართველოში ცხოვრობდნენ. ცოლი ბერტა ფონ სუტნერი (1843 — 1914) ცნობილი რომანისტი ქალი, ავტორი გახმაურებულ რომანისა „მირს იარაღი“ და მისი მეუღლე არტურ ფონ სუტნერი 1876 წელს ესტუმრენ სამეგრელოს დედოფალს—ეკატერინეს—და 10 წელიწადი დაჰყევს საქართველოში. საქართველოს ცხოვრებიდან მათი ნაწერები დაბეჭდილია გერმანულ და ფრანგულ ენებზე. სხვათა შორის, სუტნერის პირით ვენის ერთ-ერთ ოფიციალურ ორგანოში გ. ქართველიშვილზე შემდეგი სიტყვები თქმულა: „ძნელად მოსაფიქრებელია, ქართველმა კომერსანტმა, ახალმა მეცენატმა ათას თუმანამდე გადაიხადოს ლიტერატურულ ნაწარმოებთა დასაბეჭდად. ამგვარი ფაქტი ერთადერთია კავკასიის ლიტერატურის ისტორიაში და ამიტომ ღირს ამაზე ლაპარაკით (ს. ცაიშვილი — იონა მეუნარგია, ზუგ. მუხ. „შრომები“).

*** ამ თარგმანის შესახებ იონა მეუნარგია თავის ავტობიოგრაფიაში წერს: „ბევრი ხნით ადრე, ვიდრე ქართველიშვილის გამოცემა დაიბეჭდებოდა, ვთარგმნი „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულ ენაზე, ფრანგის ვიულ მურიესა და ბარონესა ბერტა სუტნერის შემწეობით და ზიჩიმ ამ თარგმანის წაკითხვით შეადგინა თავისი ცნობილი ილუსტრაციები რუსთველის ქმნალებისა, ეს თარგმანი ხელით ნაწერი, შემდეგში გადავიცი რუს მგოსანს კ. ბალმონტს“.



— „ძვირფასო ძმაო ნიკო! როგორც ეს წიგნი მოგივიდეს, უთუოდ იმ დღესვე, ან მეორე დღეს მაინც, ზიჩისთან მიდი (სემიონოვის შესახვევი). ეს ხუთი დღეა გამიგზავნია მისთვის სურათები და თარგმანი, და ცალკე წერილში მივწერეთ, ნიკოლადე მოგა და თუ რაზე საჭირო იქნეს, იმას უთხარით, თუ თქო... არ ვიცი, შენ იცი, რასაც ეტყვი თარგმანზე, მე მაგინე, რამდენიც გინდა, მხოლოდ წიგნის დიდება არ დაუმცირო იმას, თორემ გულს აიყრის. უთხარი, რომ ჯერ თარგმანს ბევრი შესწორება სჭირია-თქო, მთარგმნელი აპირებს კიდევ ორი-სამი თვე ზედ იმუშაოს-თქო, ახალი ამბავი, დიდი, დიდი ამბავი ეს განლაგს, რომ გუშინწინ მომივიდა რენანის წერილი, სწერს, გამოგზავნე თარგმანი და მე პარიზის აზიურ საზოგადოებას წარუვუდგენო... ზიჩისაც უთხარი ეს ამბავი. აქაურობა ისევ ისეა, როგორც დასტოვე, მთურიემ ზაპლა წაიღო... ბარონი სუტნერი სამეგრელოში, ჩემ სოფელში მიმყავს ამ დღესასწაულებზე და იქ გვინდა ერთად და ბეჯითად გადავიკითხოთ და გავასწოროთ თარგმანი...

შენი ერთგული იონა.

შენი ქირიმე, ნიკოჯან, უთუოდ მალე შედი ზიჩისთან. უთხარი სხვათა შორის, რომ გექტორაფის მელნით არის დაწერილი და წყალი არსად დაასხან, თორემ გაფუჭდება; ამის გარდა, ზოგიერთი ქართული სიტყვები, რომელნიც გამოჰხატავენ თანამდებობას, მუსიკის იარაღებს და სხვა, ქართულად არიან ნახსენები და შენ განუმარტე. არამცდარად არ დაიზარო წასვლა.

16 დეკემბერი 1884 წ.“

მომდევნო წლის (1885) 9 იანვარს ამავე საკითხის შესახებ მეუწიარგია კიდევ სწერს წერილს ნ. ნიკოლაძეს.

„ძმაო ნიკო! ეს ორი კვირაა ქალაქიდან წამოსული ვარ და არ ვიცი, მოგიწერია თუ არა რაიმე პასუხი ან ჩემთვის, ან ილისათვის შესახებ „ვეფხისტყაოსნისა“ და ზიჩისა. ჩემი წერილი, უეჭველია, მოგივიდოდა, ამ წიგნს აი რატომ გწერ: როგორც ვაცნობე ამას წინად, მე სუტნერი სოფელში ჩამოვიყვანე და აქ ხელმეორედ შევეუდქეით თარგმნას, უფრო უმეტესის დაკვირვებით და სინდისით. ჯერ უკანასკნელს რედაქციას ვადგენთ ფრანციულად, მერე იქვე ნემენცურად ვთარგმნით. წიგნს. ეს ორი კვირაა, დღე-ღამე ვმუშაობ და, როგორც იყო, ერთს მეოთხედს მოვუღეთ ბოლო. ამ პირველს მეოთხედში ერთი შეცდომა შემხვდა წი-

ნანდელის ჩემი თარგმნისა, რომელიც უთუოდ უნდა გასწორდეს ზიჩის ეგზემპლარში, თორემ მხატვრობა ნამდვილი არ გამოვა. ის შეცდომა არის იმ სცენაში, როდესაც ტარიელი პირველად დაინახავს ნესტან-დარეჯანსა“. შემდეგ მელნარგია დაწვრილებით აცნობებს ამ ადგილს ნ. ნიკოლაძეს და ბოლოს სწერს:

„ახლა ვგრძნობ ყოველს ნაკლოვანებას ჩემის თარგმანისას, მაგრამ ჯერ გვიან არ არის, ჩემგან გამრუდებულს, მევე გავასწორობ. სხვათა შორის, ზიჩის უთხარი ლაპარაკის დროს, რომ ჩემს თარგმანში სიტყვა ქართული „ალვა“ ცუდათ ვთარგმნე“. ი. მელნარგია სთხოვს ნიკოლაძეს ეს ადგილიც შეასწოროს გადაზავნილ ეგზემპლარში და კიდევ განმეორებით მოაგონებს მას: „შენი ჭირამე, ნიკოჯან, ზიჩისთან უთუოდ მიდი და უთუოდ პასუხი მომწერო. წერილში აღნიშნულია აგრეთვე ფრანგულად თარგმნის სიძნელე გერმანულთან შედარებით.“

როდესაც მელნარგია ამ წერილს წერდა ნიკოლაძეს (9 იანვარს) და სთხოვდა პასუხს, — „დროების“ რედაქციას უკვე მიღებული ჰქონდა ცნობა და 10 იანვარს ვაზეთმა თავის მკითხველებს აუწყა, რომ ზიჩიმ ფრანგული თარგმანი უკვე მიიღო და სურათების ხატვასაც შეუდგაო.

„ვეფხისტყაოსნის“ გამოსვლას მოუთმენლად მოელოდა ხალხი, გამუდმებით მოდიოდა „დროების“ რედაქციაში შეკითხვები, როდის გამოვა „ვეფხისტყაოსანი“.

ვაზეთი უბასუხებს თავის მკითხველებს და არწმუნებს მათ, რომ დაბრკოლება სურათებზეა და, რა წამს ბ-ნი ზიჩი ხატვას გაათავებს და თავის შრომას გადასცემს ამომჭრელს, გამომცემელი მამინვე ბეჭდვასაც შეუდგებაო.

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის შეფერხება, რასაკვირველია, მარტო ზიჩის სურათების მიზეზით არ იყო გამოწვეული, — გარდა სურათებისა, წიგნს ბევრი რამ სჭირდებოდა, პირველ რიგში კი ის შესამკობელი მასალები, რომელთა დამზადება ილია ჭავჭავაძემ მიანდო გრიგოლ ტატიშვილს.

ამ დროს გრიგოლ ტატიშვილი ფოთში იყო გადახიზნული და იქ მუშაობდა მხატვრად რკინიგზაზე. როდესაც ფოთიდან ჩამოიყვანეს, მას შესაფერი ბინა მისცეს ბანკის შენობაში და თანხაც მუშაობის დასაწყებად.

გ. ტატიშვილი ილიას ჩავიხებით მისვდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ღირსეული შემკობისათვის არ გამოდგებოდა ჩვეულებრივი სახის მორ-



თულობა: საჭირო იყო სრულიად ახალი შესამკობელი მასალის გამო-
ნახვა. ასეთი მასალა მხოლოდ ქართული მონუმენტური არქიტექტურის
ძეგლებში მოიპოვებოდა. ტატიშვილმა ამ ძეგლების ვრცელი კვლები-
დან, გუმბათებიდან და თაღებიდან ვადმოხატა ის შესანიშნავი არქიტექ-
ტურული ჩუქურთმები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე იყო შექმნილი
ქართული მხატვრული გენიის მიერ.

სამშობლოს უზომო სიყვარულმა და საბატო დავალების შეგნებამ
მისცა მას ძალა ამ ჭეშმარიტად საგმირო საქმის შესასრულებლად. ფეხით
შემოიარა მან თითქმის მთელი საქართველო და მთავარი ძეგლებიდან
უშუალოდ გადმოიღო ის, რაც მათ ამშვენებდა მრავალი საუკუნის მან-
ძილზე. მხატვარმა ეს მასალა დიდი ოსტატობით გარდაქმნა წიგნის მორ-
თულობად და შორეული წარსულიდან მომდინარე გრებილები, წნულე-
ბი და ფანტასტიკური ხლართები, შეგუებული ხესთან, ქვასთან და ლი-
თონთან, ქაღალდის ფურცელს შეუთვისა. მათი შნო და ლაზათი, თეთრი
და შავი ლაქების შემწეობით, რუსთაველის უხინჯო ლექსის მდინარებას
შეუერთო და მასთან ერთად აამეტყველა.

როდესაც ტატიშვილი მოგზაურობდა საქართველოში და ძეგლები-
დან ჩუქურთმებს იღებდა, თბილისში ზიჩის წერილი და საბოლოოდ
დამზადებული ესკიზები მოვიდა. გაზეთმა „დროება“ არ დააყოვნა და
ეს სასიხარულო ამბავი თავის მკითხველუმს საგანგებო წერილით აუწყა:
„ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ თავის თავაზიანობას ბ-ნი ზიჩი ერთი
სამად გადააქცევდა და ასე მოკლე ხანში დაასრულებდა პირველს ნაწილს
თავის შრომისას. გამოცემისათვის შემდგარმა კომიტეტმა სთხოვა ზიჩის
მხოლოდ თორმეტი სურათის დახატვა და ესეც დიდ დავალებად მიაჩნდა
იმის მხრივ. ამ საგნისათვის გაუგზავნა კომიტეტმა როგორც სრული
ფრანციული თარგმანი, აგრეთვე მრავალი ფოტოგრაფიული სურათე-
ბი საქართველოს ბუნებისა, ხელოვნებისა და ხალხისა. არავის იმედი არ
ჰქონდა, რომ ზიჩი თავის სურათებს წელიწადზე ადრე გაათავებდა, მაგ-
რამ ამ დღეებში თბილისში მოვიდა მისგან გამოგზავნილი ესკიზები,
რომელნიც გვარწმუნებენ, რომ ნახევარი საქმე დასრულებულად უნდა
ჩაითვალოს. ზიჩი იმგვარის თავის სიმდაბლით, რომელიც ყოველ სულ-
დიდს ადამიანს შეშვენის, სთხოვს კომიტეტს, რომ შენიშნოს, თუ რა
ნაკლოვანება აქვთ მის ესკიზებს შინაარსთან შედარებით და საჩქაროდ
ესკიზები შენიშვნებითურთ უკანვე დაუბრუნოს... ზიჩის წერილიდამ
ამოვიწერეთ ერთი ადგილი, რომელიც აშკარად ჰხატავს, თუ როგორ


გულმოდგინედ მოჰქედებია გამოჩენილი მხატვარი შოთას თხზულებას: „შე თქვენ გიგზავნით არა თორმეტს, არამედ ოცდათოთხმეტს ესკიზს ამოსარჩევად. შენიშნეთ, რაც შესანიშნავია, ნომრობით დასწერეთ და საჩქაროდ უკანვე გამოგიგზავნეთ, რომ შემედლოს საქმის მალე დასრულება... მე დიდად მოხარული ვიქნები, თუ შევძლებ თქვენის იმედების გამართლებას და რუსთაველის თხზულებას შესაფერად გამოვცემო.“

კარგი იქნებოდა, რომ ყველა ეს სურათები თქვენს გამოცემაში მოგეციათ ცინკოგრაფიით. ძვირათაც არ დაჯდებოდა: ანგერერი ვენაში და აგრეთვე პარიზში კვადრატულ სანტიმეტრზე 15 სანტიმს თხოულობენ. მაგრამ მოიქეცით, როგორც თქვენი სურვილი და შეძლება ნებას მოგცემთ. მე ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს, რომ თქვენის ჩინებულის აზრის განხორციელება შევიძელ. მე, ჩემი მხრით, გამოვცემ არა მარტო ამ 34 სურათს, იქნება სხვებიც მიუფმატო და პატარა ფოტოგრაფიული ალბომი დაეაბეჭდინო დაავალეთ ევროპისათვის. ამით სახელი და დიდება ქართველების პოეტის რუსთაველისა უფრო ვრცლად მიიფინება. დასასრულ გთხოვთ მოექცეთ ჩემს სურათებს ისე, როგორც ქართველები უმანკო ქალს მოექცევიან ხოლმე — ნაზად და სათუთად“.

მიღებული ესკიზები დაუყოვნებლივ გაურჩევიათ და თითქმის ყველა მიუღიათ, რის შესახებაც „დროებაში“ სათანადო ცნობა იყო დაბეჭდილი.

ამ ცნობის გამოქვეყნებულ შემდეგ გავიდა ოთხი თვე და „ვეფხისტყაოსნის“ სურათების შესახებ არაფერი ისმოდა. ისევ დაიწყო შეკითხვები და გაზეთიც კვლავ აძლევდა პასუხს შემკითხველებს:

„თუ აქამდის არაფერი ამბავი მოგვსვლია „ვეფხისტყაოსნის“ სურათების თაობაზე ბნ ზიჩისაგან, ამის მიზეზი ის არის, რომ ბ-ნი ზიჩი სასახლის მხატვარია და უკანასკნელ მოგზაურობის დროს თან ახლდა უავუსტოესს ოჯახობას. ამჟამად საიმპერატორო სახლობა დაბრუნდა პეტერბურგს და პატივცემული ზიჩი გვწერს, რომ მოკლე ხანში მე თვითონ გავემგზავრები ვენაში საუკეთესო ამომჭრელ ანგერერთან და მიუხეხნ-შიაც „ვეფხისტყაოსნის“ სურათებზე მოსარჩევბლადო“ („დროება“ 1885, № 188). როგორც ჩანს, ზიჩის თავისი დაპირება შეუსრულებია, წასულა ვენაში და სურათების ბეჭდვის საქმე არათუ მოუგვარებია, არამედ ერთი დაბეჭდილი სურათიც კი ჩამოუტანია პეტერბურგში. გაზეთი „ივერია“, რომელიც ამ დროისათვის დახურული „დროების“ ნაცვლად გამოვიდა, თავის მკითხველებს აცნობებს, რომ ი. მეთნარგია



ზიჩი თაგის სამუშაო ოთახში

4. პ. გორღეზიანი, ზიჩი საქართველოში



წასულა პეტერბურგში სხვადასხვა საქმის გამო, მოკლე ხანში ჩამოვა და სხვა საინტერესო ამბავთან ერთად „ვეფხისტყაოსნის“ სურათების შესახებაც ნამდვილს ამბავს მოგვითხანს მხატვარ ზიჩისაგანო. მართლაც, მეუნარავიამ საჭირო ცნობებთან ერთად ზემოთ აღნიშნული დაბეჭდილი სურათიც ჩამოიტანა. ეს საბოლოოდ დამზადებული სურათი, რომელიც ავთანდილისა და ფატმანის მარტო ყოფნას გადმოსცემდა, დიდად მოსწონებიათ: „ეს სურათი ფოტოგრაფიით გადაუღიათ ვენაში ანგერერის და გეშლის ზედამხედველობითა და მშვენიერებაა“. საგამომცემლო კომისიამ ამ სურათთან ერთად მიიღო სურათების გამოჩენილი მბეჭდავის ანგერერის წერილი. ის ითხოვდა, მიეწოდებინათ მისთვის ცნობები წიგნის ფორმატისა და ტექსტის მოცულობის შესახებ. კიდევ გადის ერთი წელიწადი და სურათების ბეჭდვა დასასრულს უახლოვდება. ამ სასიხარულო ამბავს აუწყებს თავის მკითხველებს გაზეთი „ივერია“ (1887, № 61):

„ფრიად სასიხარულო ამბავი უნდა ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს: მხატვრის ზიჩისაგან დახატული სურათები „ვეფხისტყაოსნისა“ უკვე დაუბეჭდავთ ლეიპციგში. ამ სურათებიდგან, რომელიც 26-მდეა, ოთხი კიდევ მოსულა ტფილისში, სრულიად დამზადებული და დაბეჭდილი. აპრილში თვით „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვასაც შეუდგებიან და მაისში უკვე მზად იქნება ვარაყიანი ყდა წიგნისა და აგრეთვე სხვა ყოველივე... სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“ სულ 600 ცალი დაიბეჭდება და ყლით ეღირება 12 — 15 მანეთი.“

ამ სასიხარულო ცნობიდან ჩანს, რომ გრიგოლ ტატიშვილს უკვე 1886 წელს მოუთავებია ნაკისრი ვალდებულება, ამის შემდეგ ორნამენტული ნახატები პეტერბურგში გადაუგზავნათ საუკეთესო ამომჭრელებთან — ლემანთან და მესთან. ზიჩის მიერ შესრულებული ფერადი სურათი კი, რომელიც გამოცემის პირველ გვერდზეა ჩაკრული, მოუთავსებიათ ბრეზეს ქრომო-ლითოგრაფიაში. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მის დამზადებასაც ხელმძღვანელობას გაუწევდა პეტერბურგში მყოფი ზიჩი.

გაზეთ „ივერიის“ ამ უკანასკნელი ცნობიდან ისიც ჩანს, რომ თბილისში უკვე შესდგომიან ტექსტის ბეჭდვის სამზადისს.

როდესაც ი. მეუნარავია პეტერბურგს გაემგზავრა, ჩანს, მან გამოცემის ყველა საკითხი, მათ შორის ახალი შრიფტის, ქალაღდის, ორნამენტების ამოჭრისა და სხვა საკითხებიც საფუძვლიანად მოაგვარა.

როგორც აღვნიშნეთ, საგამომცემლო კომისიამ ივ. მაჩაბელს დაავა-

ლა ტექსტის საბოლოო რედაქცია, გამოცემის ტექნიკური და მხატვრული ხელმძღვანელობა და მრავალი სხვა საქმეაო, რაც ასეთ საქმიანობას თან ახლავს.

ივ. მაჩაბელი ამ საქმეს განსაკუთრებული ენერგიითა და გულმოდგინებით შეუდგა.

როდესაც ზოიმ დაამთავრა ცოცხალი სურათებიდან ესკიზების დამზადება, წავიდა პეტერბურგში და მუშაობას შეუდგა, — იგი განუწყვეტელ კავშირში იმყოფებოდა საგამომცემლო კომისიასთან, კერძოდ, ი. მაჩაბელთან: უგზავნიდა მას საკორექტორო მასალებსა და მრავალ შეკითხვას, რაზედაც დაუყოვნებლივ ღებულობდა პასუხსა და განმარტებებს.

თუ ვისი საშუალებით ჰქონდა კავშირი ივანე მაჩაბელს ზიჩისთან, დღემდე ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი არ იყო, აგრეთვე არც ის იყო ცნობილი, თუ ვინ უწყვედა უშუალო ხელმძღვანელობას ტატიშვილის სამკაულების ლითონზე გადატანას, ვის შექმონდა შესწორებები და ვინ აძლევდა ხელოვნებს განმარტებებს.

გაზეთების ცნობებიდან არც ის ჩანს, რა ხასიათის შესწორებები შექმონდა კომისიას ესკიზებში და როგორ სრულდებოდა ეს შესწორებანი.

ყოველივე ამის პასუხს იძლევა ჟურ. „დროშაში“ (1955, №3) გამოქვეყნებული ივანე მაჩაბლის ასულის ელენე მაჩაბლის წერილი, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს მძიმე ტვირთი საგამომცემლო კომისიასთან ერთად გაუზიარებია იმ დროს პეტერბურგში მყოფ ი. მაჩაბლის უფროს ძმას — ვასოს.

ძმებს შორის დღემდე შემონახული მიმოწერიდან ირკვევა, რომ ვასოს ღებულობდა ძმისგან მრავალ დაფალებას და დაწვრილებით დარიგებას იმის შესახებ, თუ ვისთან და როგორ დაემზადებინა „ვეფხისტყაოსნისათვის“ სათაური ასოები, ბორდიურები, გალვანოზლატიკური ანაბეჭდები და სხვ.

ვანო სწერს თავის ძმას:... „აი კიდევ ვიგზავნი 8 ასოს და 2 „კანცოკას“, ამათაც მისცემ ოსტატებს და ეტყვი — მიაქციონ ყურადღება იმ შენიშვნებს, რომელიც ზოგიერთ ასოებს ქვეშ არის მიწერილი“ ...შემდეგ... „გეთაყვა ამ ასოების ბედი შემატყობინე... რა წამს მორჩებიან საქმეს, მაშინვე გამომიგზავნონ“. ვანოს ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „მივიღე შენი წერილი და დიდი მადლობა უნდა შემოგიფთვლო, როგორც ჩემს მხრივ, ისე გიორგი ქართველიშვილისა, რომ ყველაფერი



შეგიტყვიათ, რაც საჭირო იყო, მაგრამ იმედი მაქვს, არ დაიზარებ და ერთხელ კიდევ ნახავ ზიჩისა“. ამ მიმოწერაში ფრიალ საინტერესოა ის ადგილი, სადაც ვანო მაჩაბელი სწერს ვასოს: „თუ ზიჩის არ დაზარდება, შეიძლება იგივე სურათი ხელმოვრედ შევუტყვეთოდ, სრულიად ისე, როგორც არის, მხოლოდ უკუდოდ კი *“. ხარჯს ზიჩი ნუ მოერიდება ამ საგანზედ. რასაკვირველია, ამას ისე ეტყვი ზიჩის, რომ არ ეწყინოს და, თუ ცოტათი არის სამძიმო, მაშინ თავი დაანებოს, რაც არის, იგივე დარჩეს“. სხვა წერილიდან ვიგებთ, რომ ზიჩის ეს წინადადება მიუღია: „ზიჩისათვის რომ კული წაგიშლევინებია, ყველას ძალიან გაგვეხარდა“.

ვანო ერთგვარ უხეჩხულობას გრძნობს თავის ძმის წინაშე ამდენი დავალებების გამო და ერთგან სწერს: „ბეერს გაწუხებ ამ მიწერ-მოწერით, მაგრამ რა ფაეწყობა, შენ რომ არ გამოგერკვია, ძალიან აიწყეწებოდა... საქმე... და შენ კი იწყებუი, ხომ არ გეწყინათ 12 ბოთლი ღვინო რომ გავუგზავნე ზიჩისაო. შენგან არ მიკვირს? გიორგი ქართველიშვილი ისეთი მადლიერია შენი, რომ თორმეტი ბოთლი ღვინო კი არა, ასჯერ უფრო ძვირფასი რამ გავგეგზავნა, არ დავგემღურებოდა, თორემ 12 ბოთლი, აბა, რა სათქმელია“.

ვფიქრობთ, ეს ამონაწერებიც კმარა იმისათვის, რომ უკვე ნათლად წარმოვიდგინოთ როგორც ვანო მაჩაბლის, ისე მისი ძმის — ვასოს — უანგარო წვლილი იმ დიდ სახალხო საქმეში, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა ემსახურებოდა. ეს თვით ზიჩისაც კარგად ესმოდა. იგი განსაკუთრებით აფასებდა ვანო მაჩაბლისა და მისი ძმის დახმარებას, რაც აღნიშნა კიდევ ვანოსადმი გაგზავნილ დეპეშაში: „გმაღლობთ. დიდთ ვაფასებ თქვენს მეგობრობას. ზიჩი“ (1887 წ. 12 სექტემბერი).

თბილისიდან დროებით გასული ი. მუხნარგია 1887 წ. 23 ივლისს მოწერილ წერილში ი. მაჩაბელს სთხოვს აცნობოს „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის მდგომარეობა და აფრთხილებს მას, არ დაიწყოს წიგნის ბეჭდვა, სანამ ყველაფერი მზად არ იქნება. ამასთანავე ურჩევს, რომ ჯერ სანიმუშო ამონაბეჭდი გააკეთოს, დაუგზავნოს ნაცნობ-მეგობრებს, გაიფავლისწინოს მათი შენიშვნები და შემდეგ შეუდგეს მთელი ტირაჟის ბეჭდვას.

მიუხედავად ასეთი გაფრთხილებისა, ივ. მაჩაბელს ტექსტის ბეჭდვა მაინც დაუწყია.

* ივლისსებმა ტარიელის კაბა.

ზუგდიდიდან სვანეთისაკენ გამგზავრებულ ი. მესხინარგიას ეს ამბავი გაზეთში წაუკითხავს, მოსწონებია ი. მაჩაბლის მოქმედება. იგი სწერს ვანოს: „ხომ უნდა დაიწყოს როდისმე ბეჭდვა. ჩვენი თაობის შეცდომებზე მეორე თაობა დალაქობას ისწავლის. რაც შეიძლება ცუდას ნუ დააკლებთ, — გამოცემას შენი სახელი ერქმევა“.

ივ. მაჩაბელმა ერთ ფერში ამოღებული საბოლოო ანაბეჭდი გაუგზავნა ი. მესხინარგიას და თან ასეთი წერილი მისწერა: „ძმაო იონა, გიგზავნი „ვეფხისტყაოსნის“ ოტისკს, რასაკვირველია, შავს, შევეუდევით ბეჭდვას, ჯერ უნიფობდ იბეჭდება, ე. ი. უსაოებოდ, უკანცოვეკებოდ, უბორდიურებოდ, უსათაურებოდ. შემდეგ, როცა გათავდება მთელი წიგნი, მაშინ ხელახლად დავუბრუნდებით და ფერადით დავბეჭდავთ ამ მორთულობას წიგნისას (წიგნი ორფერში დაიბეჭდა — ბ. გ.). ყდა კარგი გამოდის, სურათებსაც არა უჭირთ რა. ნახავ, თუ ჩვენმა პირველმა დალაქობამ არ გასტრას. წიგნი პირველ იანვრისათვის, ვგონებ, გამოვიდეს...“.

„ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვა უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც რუსეთის სამხატვრო საზოგადოებამ ზიჩის ორმოცი წლის მოღვაწეობის იუბილე გადაუხადა. ამ საზეიმო თარიღს საქართველოც გამოეხმაურა. გაზეთი „ივერია“ აღნიშნავდა: „ვინც ნახა ამ ხუთი წლის წინად ცხოველი სურათები „ვეფხისტყაოსნისა“, იმას დავიწყებული არ ექნება სახელი მხატვრის ზიჩისა, რომელიც მაშინ ტფილისში იყო და რომლის მეცადინეობით და ხელმძღვანელობით გაიმართა ზემოხსენებული სურათები უკვდავის პოეტის მოთხრობიდან. ამ მხატვრის სახელი რამდენიმე თვის შემდეგ მთელ საქართველოს მოეფინება, იმიტომ, რომ მალე დაიბეჭდება მდიდრული „ვეფხისტყაოსანი“, რომლის სურათებიც მიხეილ ზიჩის დახატულია. ზიჩიმ დაატა ეს სურათები და უსასყიდლოდ მიუძღვნა „ვეფხისტყაოსნის“ მბეჭდავ კომიტეტს. დღეს ამ მხატვრის 40 წლის მოღვაწეობის იუბილეა. 40 წელი შესრულდა მას აქეთ, რაც ზიჩი რუსეთის სამეფო სასახლის კარის მხატვარია... მაგრამ სავალდებულო სამუშაოს გარდა, ნიჭიერი მხატვარი იმდენს დროს კიდევ შოულობდა, რომ ბევრს სხვა საქმესაც ასწრობდა“ („ივერია“, 1887 წ., № 189).

დადგა 1888 წელი. კიდევ ოთხი თვე გავიდა, სანამ ამდენი წლის ნაშრომს აბილაგდა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემით მოუთმენლად დანტერესებული საზოგადოება. მაისში მოლოდინს ბოლო მოეღო — ხელის მომწერლებს დაურვიდათ და მალაზიების ვიტრინებშიც გაჩნდა ძვირფასად და ფაქიზად გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“.

გაზეთმა „ივერიამ“ 1888 წ. 15 მაისს № 100-ში ასეთი განცხადება გამოაქვეყნა:

„სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“, ძვირფას ყდაში გამოცემული გ. დ. ქართველიშვილის მიერ, ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნის საწყობში. წიგნში 27 ზიჩისაგან დახატული სურათია, მრავალი განგებ ამ წიგნისათვის შეკვეთილი ჩუქურთმების მხატვრობა და სათაური ასოები ამოჭრილია პეტერბურგში, წიგნი დიდი ფორმატისაა და ღირს 15 მანეთი“.

ასე დამთავრდა მოწინავე ინტელიგენციის მიერ რვა წლის წინათ დაწყებული დიდი კულტურული საქმე.

ვიმეორებთ: ზიჩის რეალისტურმა სურათებმა რუსთაველის ქმნილება გაათავისუფლა ირანული მხატვრული სტილისაგან და „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება საერთაშორისო მხატვრული კულტურის გზაზე დააყენა. ხოლო გრიგოლ ტატიშვილის თაური ასოები და ნაირნაირი ჩარჩოები შესაფერი სიძლიერის აღმოჩნდა. მან ნათელი გახადა ქართული ორნამენტული ხელოვნების სიდიადე, ხაზების კეთილშობილური შეერთებანი, უნაკლო პროპორციულობის გრძნობა და ქართული ხელოვნების ლაკონური სტილი.

როდესაც დღეს „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებს ვათვალიერებთ, ჩვენ უნებლიეთ გვაგონდება უნგრეთის ხელოვნებათმცოდნის ბენი ლასლონეს სიტყვები საერთოდ ზიჩის შემოქმედებამ შესახებ: „ზიჩის ილუსტრაციები მოწმობენ ავტორის არა მარტო დიდოსტატობასა და ვირტუოზობას, არა მარტო მის ცოდნას გრაფიკის ყველა საიდუმლოებისა და დახვეწილობისა, არამედ მის დიდ პატივისცემასაც ლიტერატურული ნაწარმოებისადმი: როდესაც ის ასურათებდა რომელიმე მათგანს, არამარტო მთელ თავის ნიჭს ახმარდა იმას, რომ ჩასწვდომოდა ნაწარმოების სულს, არამედ შეძლებისდაგვარად ეცნობოდა ნაწარმოების საერთო მდგომარეობასა და მოქმედების პირობებს. იყო შემთხვევები, როდესაც ამ მიზნისათვის ის სწავლობდა ახალ ენას, ანდა მისთვის უცნობ ენას, ან კიდევ მიდიოდა მოქმედების აღვილზე, რათა ენახა, ეგრძნო ნაწარმოების ნამდვილი ატმოსფერო. მისი ილუსტრაციები არამცთუ თანმიმდევრულად ასახავენ სიუჟეტს, არამედ ავტორის ინდივიდუალობის და მისი მანერის ცოცხალ დასახიათებასაც იძლევიან. ამასთანავე მათში იგრძნობა ზიჩის თავისებური სტილი, ცოცხალი კომპოზიცია, ხაზის სიმტკიცე, ნახატიის ელფერის სიფაქიზე და საერთოდ ყოველივე ის, რასაც

გარდაცულ თავის ძეძობზე აღიქვას კოტესქა ავთახლილის.



„ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაცია ზინის წარწერით

ჰქვია ძალდაუტანელობა და მიმზიდველობა სულიერი მოძრაობის გად-
მოცემაში.“

ყველა ეს თავისებურებანი წითელ ზოლად გასდევს „ვეფხისტყაოს-
ნის“ ილუსტრაციებს. ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ზი-
ჩის ამ ილუსტრაციების შექმნის დროს საკმაოდ შეუსწავლია ქართული
ენა და ქართული ანბანი: ის მთელ რიგ ილუსტრაციებს ლაზარე ქართუ-
ლი ასოებით თავისებურად უკეთებს წარწერას; ასე, მაგალითად, ავთან-
დილისა და ტარიელის გამოქვაბულში შეხვედრას ასეთი წარწერა აქვს
ჩართული თვით ნახატში: „ტარიელი თავის შემთხვევულებას ეუბნება
ავთანდილს“.

ასეთი წარწერები აქვს დართული „ვეფხისტყაოსნის“ თითქმის ყვე-
ლა სურათს, რომლებიც უნგრეთის მუზეუმისაა გადაცემული ზიჩის
მიერ*.

ზიჩი ზედმიწევნით ეცნობა რუსთაველის გმირებს. იმდენად უყვარს
თვითთული მათგანი და იმდენად უსისხლბოროცდება მათ, რომ ზშირად
მეგობრულ შარყსაც ხატავს ზოგიერთზე. ასეთი გრძობის ნაყოფია ის
თექვსმეტი შარყი და კარიკატურა, რომლებიც მოთავსებულია ერთ
რვეულში და ამჟამად დაცულია ზუგდიდის მუზეუმში ი. მუუნარგიას
ფონდში**.

ზოგი მათგანი ფანქრით არის შესრულებული, ზოგი—აქვარე-
ლით. აქედან 4 გამოხატავს ი. მუუნარგიას მუშაობას „ვეფხისტყაოსანზე“
სხვადასხვა პოზასა და ჭაპანწყვეტაში. დანარჩენი 12 — პოემის ადგი-
ლების ილუსტრაციაა, როგორც არის, მაგ., „ნახეს უცხო მოყმე ვინ-
მე...“ „ავთანდილ ცხენსა გარდახდა, მონახნა დიდნი ხენია...“ „ერთგან
დასხდეს, ილაღობდეს... ყმასა ფერხთა მოვეკიდე...“ „ხედავთ ინდოთა
ტყვედ ჰყვანან...“ „დადრკა, სკამნი შემოსტყორცნა...“ „რა ესმოდის
მღერა ყმისა... და სხვა. ცალკეა დახატული ავთანდილის შარყი — სა-
შუალო საუკუნის ევროპულ სარაინდო ფორმაში, მორთული ჩინ-
ორდენებით.

ყველა შარყს თავისი წარწერა აქვს გაკეთებული ქართულად, ხოლო
ზოგიერთს ფრანგულადაც. მაგ., „ავთანდილ იყო სპასპეტი“ — ფრან-
გულად მთელი სტროფია მოყვანილი.

* ეს სურათები მოთავსებულია ლაზარ ბელას საფუძვლიან ნაშრომში „მიხაი ზიჩი“
(უნგრულ ენაზე).

** ამ მასალების შესახებ ცნობა ჯერ კიდევ 1938 წელს გამოაქვეყნა გაზ. „მუშაში“
ჩვენმა ცნობილმა მკვლევარმა, აწ განსვენებულმა სოლომონ ცაიშვილმა.

თუმცა რვეული დათარიღებული არ არის, მაგრამ უძველია, ის პოემის დასურათების პერიოდში არის შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ფრანგულ ენაზე გადათარგმნის (1884) შემდეგ, რასაც აღსატურებს შარყები: ი. მეუნარგიას მიერ თარგმანის დაწყება ენერგიულად და მისი დამთავრებისას კი სკამიან-შაგიდიანად წაქცევა და მთარგმნელის ქვეშ მოყოლა, ან კიდევ ი. მეუნარგია, რომელსაც ხურჯინით მიაქვს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი პეტერბურგის აკადემიაში დასაბეჭდად და ა. შ.

ასეთი კარიკატურები და შარყები, ცხადია, მეგობრული გრძნობებით იყო გამოწვეული ი. მეუნარგიასადმი. ხშირად თავის თავზედაც ხატავდა ზიჩი კარიკატურებსა და შარყებს.

იმ წელს, როდესაც „ვეფხისტყაოსანი“ გამოვიდა, მიხეილ ზიჩიმ ერთხელ კიდევ მოინახულა საქართველო. გაზეთ „ივერიის“ ცნობით, ზიჩიმ იყალთოში დახატა ღრმად მოხუცებული ქართველი ქალი ელისაბედ ჩოლოყაშვილისა (ივერია, 1888, № 219).

მეფის ჩამოსვლით საქართველოში ივ. მაჩაბელს ახალი თავსატეხი საქმე გაუჩნდა: მას დაეალეს მეფე-დედოფლისათვის მისართმევი „ვეფხისტყაოსნის“ საგანგებო ეგზემპლარის დამზადება. ამ ამბით ფრიად აღელვებული მაჩაბელი მეუნარგიას სწერს — „ეს რა ჩემი საქმეაო“, მაგრამ, ვინაიდან ხედავს, რომ სხვა არავინ არის, იძულებულია ამ საქმესაც ხელი მოჰკიდოს, თუმცა იგი უფრო საჭიროდ სთვლის ზიჩისათვის მისართმევი ეგზემპლარზე ზრუნვას: „თბილისში ჩავალ 18-ს ან 19-ს, და მაშინ უნდა შევეუდგეთ ზიჩისათვის მოსამზადებელ „ვეფხისტყაოსანზე“ ზრუნვასაც. ეს, ვგონებ, ნაკლები საჭირო არ არის, თორემ წიგნი დიდი ხანია გამოვიდა და ზიჩის კი არას ვუგზავნი“.

ჩვენ არ ვიცით, როდის ან რა სახით მიართვეს ზიჩის „ვეფხისტყაოსნის“ საგანგებო ცალი, ვიცით მხოლოდ, რომ ზიჩიმ აღზომად შეკრული სურათები „ვეფხისტყაოსნისა“ ქართველ ხალხს მიუძღვნა და თან ასეთი გულთბილი წარწერა გაუკეთა: „ქართველ ხალხს ჩემი თანაგრძნობისა და გულთბილი ერთგულების ნიშნად“. ზიჩი. ს. პეტერბურგი, 10 მარტი, 1889 წ.

საქართველოსგან კი მხატვარმა პონორარს ნაცვლად მიიღო ხალხის ღრმა სიყვარული და გულთბილი მადლობა*.

* დაფები, საიდანაც დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები, ინახება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

ზიჩის ურთიერთობა საქართველოთან „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებაზე

დღემდე ჩვენში გავრცელებული იყო აზრი, თითქოს ზიჩი მართო მაშინ გაეცნო ქართველ ხალხს და დაუკავშირდა მას, როცა თავს იდგა „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება. როგორც ამ უკანასკნელ დროს გამოირკვა, ზიჩი გაცილებით უფრო ადრე გასცნობია საქართველოს და მის ისტორიას. ექვს გარეშეა ის გარემოება, რომ ზიჩი უდავოდ ზშირად ხედებოდა პეტერბურგში საქართველოს მრავალ წარმომადგენელს და პრესის საშუალებით კარგად იცნობდა მის დიდ პროგრესულ მოღვაწეებს. ამასთან ერთად, ჩვენ მოგვეპოვება ისეთი მასალაც, საიდანაც ნათელი ხდება ზიჩის დაინტერესება საქართველოს კულტურითა და მისი წარსულით ჯერ კიდევ ადრე, სანამ ის საქართველოში ჩამოვიდოდა.

ერთ-ერთ ასეთ მასალას წარმოადგენს ამ უკანასკნელ დროს აღმოჩენილი ზიჩის „ქართველი ქალის“ პორტრეტი, რომელიც ჩვენმა პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ მოსკოვში შეიძინა და თბილისში ჩამოიტანა.

„ქართველი ქალის“ პორტრეტი დახატულია მთელი ტანით; შესრულებულია წყლის ფერებითა და ფანქრით. როგორც ჩანს, იგი უფრო ეთნოგრაფიული მიზნით არის გაკეთებული: მეტი ყურადღება აქვს მიქცეული ტანისამოსის დეტალებსა და მის ფერადოვნებას. როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ზიჩი დიდად იყო დაინტერესებული სხვადასხვა ერის, განსაკუთრებით, კავკასიელთა ჩაცმულობით, და ეს სურათიც ამ დაინტერესებებს შედეგს უნდა წარმოადგენდეს.

ახლად აღმოჩენილი პორტრეტი შესრულებულია მაღალი გემოვნებითა და ზიჩისათვის დამახასიათებელი დიდი რეალისტური ოსტატობით. გარდა მხატვრული ღირსებისა, ეს პორტრეტი საყურადღებოა აგრეთვე შესრულების თარიღითაც (1874 წელი), რასაც ერთგვარი სიასხლე შეაქვს ზიჩის დამოკიდებულებაში ქართულ საზოგადოებასთან.

ადნიშნული თარიღი გვიჩვენებს, რომ ზიჩი ბევრად უფრო ადრე ყოფილა დაახლოებული ჩვენს საზოგადოებასთან, ვიდრე ეს დღემდე იყო ცნობილი. სხვა მხრივაც არის საყურადღებო ეს თარიღი: როგორც ვიცით, 1874 წლის დასაწყისში ზიჩიმ დასტოვა რუსეთი და დიდი ხნით გაემგზავრა პარიზში და ევროპის სხვა ქალაქებში. ადვილი შესაძლებელია, რომ ამ სურათზე გამოსახული პირი არის პარიზში მცხოვრები რომელიმე ქართველი მანდილოსანი. ეს კიდევ უფრო აძლიერებს ინტერესს ამ პორტრეტისადმი, რადგან ამით უდავო ხდება ზიჩის ურთიერთობა პარიზში მყოფ ქართველებთან.

ზიჩის ქართულ კულტურასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით გაკლებით უფრო მნიშვნელოვანია გ. საბინინის მიერ შედგენილი „საქართველოს სამოთხე“ და ის 25 ბრწყინვალე გრავეურა, რომლებიც ამ საუცხოო გამოცემაშია მოთავსებული.

ამ ნაშრომს დიდი ადგილი უჭირავს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მას არა ერთხელ იხსენიებს აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე თავის „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“. საბინინის მოღვაწეობას დიდ ადგილს უთმობს პატივცემული მკვლევარი. ხსენებულ ნაშრომში, როგორც ვთქვით, გამოქვეყნებულია 25 ბრწყინვალედ შესრულებული პორტრეტი ჩვენი სასულიერო და საერო პირებისა. ჩვენს ხელოვნებათმცოდნეობაში თითქმის არაფერი არის თქმული ამ ფრიად ღირსშესანიშნავი პორტრეტების მხატვრული ღირსების შესახებ. თვით საბინინი თავის წიგნის წინასიტყვაობაში მოგვითხრობს ამ სურათების შექმნის ისტორიას და ამბობს: „ზოგიერთი გადმოვიღე სვეტიცხოველის კედლებიდან, ზოგი მრავალ მთის დანგრეულის მონასტრიდან, ზოგი გ. ვაგარინმა მიბოძა და ზოგიც დავით ბატონიშვილს ხელნაწერთაგან გადმოვიღე. მრავალი მათგანი არ იყვნენ ისრედ აღსრულებულნი, ვითარ მოითხოვდა კლასიკური მხატვრობა, არამედ შემწეობითა სხვადასხვა მხატვართა სამხატვრო აკადემიისათა სრულ ვყავ მხატვრობანი, რომელნიც აქ არიან“. ამ ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რომ სურათების „სრულყოფაში“ სხვები დახმარებიან, რომლებსაც ის არ ასახელებს. მაგრამ, სანამ ამ „სხვებზე“ ვილაპარაკებდეთ, ორიოდ სიტყვით ვთქვათ, თუ ვინ იყო თვით საბინინი და რა პირობებში გამოსცა მან „საქართველოს სამოთხე“.

მიხეილ (გობრონი) პეტრეს ძე საბინინი წარმოშობით ქართველი იყო. ეს ცნობილი მწერალი და მხატვარი ეკუთვნის მეცხრამეტე საუ-

კუნის მეორე ნახევრის მოღვაწეთა ჰლეადას. პირველდაწყებითი სწავ-
ლა თბილისში მიიღო, ხოლო შემდეგ პეტერბურგის სასულიერო აკა-
დემიაში შევიდა თავისუფალ მსმენელად, სადაც მიიღო კანდიდატის
ხარისხი. მან დაამუშავა „საქართველოს ეკლესიის ისტორია VI საუკუ-
ნემდე“, რომელიც დაიბეჭდა 1877 წელს. ამაზე ადრე, 1871 წელს, მან
გამოსცა სრული აღწერა „ლუაშლთა და ვნებათა საქართველოს წმინდა-
თა“. იგივე ნაწარმოები სურათებით შეავსო და „საქართველოს სამოთხის“
სახელწოდებით ხელმეორედ გამოსცა 1882 წელს.

„საქართველოს სამოთხის“ შედგენაზე მრავალი დაბრკოლება გა-
ნუცდია საბინინს, რასაც მოგვიხსრობს თავის წინასიტყვაობაში. ყვე-
ლაზე მეტი გულსტკივილით იმ ხალხზე ლაპარაკობს, რომლებიც თვით
არაფერს აკეთებდნენ, მას კი ხელს უშლიდნენ, „თავთა თვისთა იქე-
ბენ — სიტყვით ძლიერნი, მოქმედებით მცირენი, ემსგავსებიან იგინი
უნაყოფოსა ხესა, რომელიც მოიკვეთების და ცეცხლსა ზედა დაუშ-
რეტელსა დაიდების“.

შვიდ წელიწადს უმუშავია ამ წიგნის შედგენასა და სურათების
დამზადებაზე, ხოლო როდესაც ეს წიგნი გამოვიდა, ქართულმა პრესამ
დადებითი შეფასება მისცა მას.

გაზეთმა „დროებამ“ ასე დაასახიათა იგი: „როგორც წიგნი, ისე სუ-
რათები ისე წმინდათ და ლაზათიანად არიან შემუშავებული, რომ გუ-
ლი ხარობს ამ სახალხო განძის შეძენით. ეს წიგნი იმ ხალხის სურათებ-
სა და აღწერას შეიცავს, რომელნიც თავიანთი სიტყვით ამხნევებდნენ
საქართველოს. ამ ერთ მუჭა ხალხს თავის მაგალითით უძლეველად და
დასაფლეთის განათლების მოწინავე მებრძოლად და დამცველად
ხდიდა“.

ფაშ. „შრომა“ (1882 წ. №47) წერდა: „სურათები გამომცემელს
მოუტრევენებია ფოლადზე ლეიბციგში. სურათები ისე მშვენიერად
არიან გადმოღებული ქაღალდზე, რომ მკითხველი თვალს ვერ აცილებს,
უნდა რამდენიმეჯერ დააიკეთოს და დაიტკბოს ესთეტიკური გრძნო-
ბა... ყოველი გამოსატული გვამი ტიპია თავისი დროის, ყოველ გვამს
თანამედროვე სარწმუნოების, საერო და სამოქალაქო ცხოვრების ფი-
ზიონომია, ტანსაცმელი და იარაღი აქვს, ასე რომ ეს წიგნი დიდი სა-
განძერი შეიქმნა ჩვენი საერო და სამოქალაქო ისტორიისათვის“.

გაზეთ „შრომაში“ გამოთქმულ აზრს იზიარებს და უფრო ამახვი-



საბინინი — გიორგი მთაწმინდელი

ლებს იმ დროის დიდი მეცნიერი და ლიტერატურული მოღვაწე, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი დავით ისუბინაშვილი.

„თამამად შეიძლება ვთქვა, რომ დროთა განმავლობაში ეს წიგნი დაიჭერს საპატიო ადგილს როგორც შინაარსით, ისე გამოცემის სიფაქიზით. წიგნში მოთავსებული ოცდახუთი გრავიურა ქვეშაირიტად ბრწყინვალეა, გვანცვიფრებს ისტორიული სიმართლით, როგორც ჩაცმულობის, ისე ტიპაჟის მხრივ“, — წერდა იგი.

თუ რამდენად ბრწყინვალეა ეს გრავიურები როგორც ჩაცმულობის სიმართლით, ისე ტიპაჟის მხრივ, სანიმუშოდ ვათავსებთ გიორგი მთაწმინდლის პორტრეტს, რომლის შესახებაც აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე ამბობს: „გიორგი მთაწმინდელი შესანიშნავი მოღვაწეა ჩვენს ისტორიაში, იმან თავისი კვალი აღბეჭდა ცხოვრების ყოველ დარგში, მაგრამ ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია მისი ლიტერატურული მოღვაწეობა, რომლისთვისაც დაბადებული იყო“ (კ. კეკელიძე. ქართ. ლიტ. ისტ., გვ. 195. გამოც. 1924 წ.).

ახლა ვნახოთ, ვინ იყვნენ სამხატვრო აკადემიაში ის „სხვები“, რომელთა დახმარებითაც მან ბრწყინვალე გრავიურები შექმნა.

პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში იმ დროს კლასიკური საილუსტრაციო მხატვრობის საუკეთესო წარმომადგენლად მ. ზიჩი ითვლებოდა. მისი უბადლო გრაფიკული ოსტატობა და რეალისტური სტილი ცნობილი იყო არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ ევროპაში. ყველაზე დიდი დახმარების გაწევა საბინინისათვის, ჩვენი ფიქრით, პირველ რიგში მ. ზიჩის შეეძლო.

ამ სურათებისათვის ერთი თვალის გადავლებაც კმარა, რომ ვაცნოთ ზიჩის ხელი და მისი განსაცვიფრებელი ტექნიკური ვირტუოზობა. მაგრამ ეს კიდევ არ გვაძლევს უფლებას ამ სურათების ერთ-ერთ თანაგტორად ზიჩი გამოვაცხადოთ. თუმცა საბინინი ზიჩის შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ ქართულ პრესაში მოიპოვება ცნობები, საიდანაც ჩანს, რომ „საქართველოს სამოთხეში“ მოთავსებული გრავიურები დამუშავებულია მ. ზიჩის მიერ. ასე, მაგალითად, როდესაც რუსული გაზეთი „კავკაზი“ ქრონიკაში აღნიშნავს მ. საბინინის გარდაცვალებას (1900 წ. 10 მაისს), ამბობს: „1882 წელს მან ხელმეორედ დაბეჭდა პეტერბურგის აკადემიის სტამბაში საგრძნობლად გადაამუშავებული თავისი ნაშრომი (იგულისხმება „საქართველოს სამოთხე“ — ბ. გ.), რომელშიაც მო-

ათავსა ზიჩის მიერ შესრულებული ბრწყინვალე სურათები* . ანალოგიურ ცნობას ათავსებს გაზ. „ცნობის ფურცელი“: „1882 წელს საბინინმა გამოსცა პეტერბურგში ქართულ ენაზე ქართული ეკლესიის წმინდანთა ცხოვრების აღწერილობა, დასურათებული ცნობილი მხატვრის — ზიჩისაგან **.

გვეჩქრობთ, საკმარისია ეს ცნობები იმისათვის, რომ მ. საბინინის ერთ-ერთ თანავეტორად მ. ზიჩი გამოვაცხადოთ.

ისმის კითხვა, როდის უნდა დახმარებოდა ზიჩი მ. საბინინს ამ სურათების „სრულყოფაში“ — ევროპაში წასვლამდე (1874) თუ ევროპიდან დაბრუნების შემდეგ (1881)?

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამ წიგნის გამოცემის თარიღია 1882 წლის 24 თებერვალი, ესე იგი ის დრო, როდესაც ზიჩი საქართველოში იმყოფებოდა და „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებაზე მუშაობდა, მაშინ შეუძლებელია, ზიჩი ევროპიდან დაბრუნების შემდეგ დახმარებოდა საბინინს, რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ ზიჩი ევროპიდან დაბრუნდა თუ არა (1881 წელს), იმავე წელს დიდი ხნით გამოემგზავრა კავკასიაში. მას არც დრო ექნებოდა და არც საშუალება ამ სურათებზე სამუშაოდ, მით უფრო, რომ სამეფო კარზე ამ დროს დიდი არეგ-დარეგა სუფევდა. ამასთანავე, ეს სურათები მოჭრილია ფოლადზე ლაიციტიგში, რასაც, ჩვენი ფიქრით, დიდი დრო დასჭირდებოდა, და ამავე დროს ფოლადზე მოჭრა მხატვრის მეთვალყურეობას მოითხოვდა. ვის შეეძლო ასეთი მეთვალყურეობა გაეწია გრავეურისათვის? ცხადია. საბინინს ან ზიჩის, მაგრამ საბინინი ამ დროს წიგნის ტექსტს ბეჭდავდა, პეტერბურგში და მისთვის შეუძლებელი იქნებოდა სამუშაოს დატოვება. ზიჩი კი ამ დროს ევროპაში იმყოფებოდა და უფრო ადვილი საფიქრებელია, რომ მას, როგორც თანავეტორს, ეკისრა ამ სურათების ამოჭრისა და ბეჭდვის ხელმძღვანელობა ისევე, როგორც ეს ჩაიდინა მან შემდეგ, „ვეფხისტყაოსნის“ სურათების ბეჭდვის დროს.

თუ ეს ასეა, — სხვანაირად შეუძლებელიც არის წარმოვიდგინოთ, — მაშინ აუცილებლად უნდა დავაკენათ, რომ ზიჩიმ ამ სურათების ჩანახატები საბინინის თხოვნით წაიღო (ან მიიღო) ევროპაში, იქ გადაამუშავა და დაამზადებინა კიდევ, ასე რომ, როდესაც ზიჩი დაბრუნდა ევ-

* გაზ. „კავკაზ“, 1900 წ. № 138.

** გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900 წ. № 136.

რობიდან და კავკასიისაკენ გამოსწია, უკვე კარგად იცნობდა საქართველოს ისტორიასა და მის დიდ მოღვაწეებს.

სრულიად შესაძლებლად მიგვაჩნია ისიც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დასურათების აზრიც მას პირველად უცხოეთში დაეზადა და შემდეგ საქართველოში განახორციელა.

ამრიგად, ზიჩის დაინტერესება საქართველოთი და მისი წარსულით, ჩვენი ფიქრით, „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებამდე უნდა დაწყებულიყო.

გარკვეულ ინტერესს იწვევს 1895 წელს საქართველოში მოსული უნგრეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაშიაც, სხვა გამოჩენილ მეცნიერთა შორის, შედიოდა ევგენი ზიჩი — ნათესავი ჩვენი დიდი მხატვრისა. ექსპედიციის მიზანი იყო კავკასიისა და შუა აზიის ხალხთა ზნეჩვეულებების გაცნობა და მათი შესწავლა. ევგენი ზიჩი, საქართველოში მოსვლისთანავე, ზიჩის რეკომენდაციით ეწვია ხვედურეთის ციციშვილებს, რომლებმაც ის გულთბილად მიიღეს და განსაკუთრებული მასპინძლობა გაუწიეს. ჩვენ მიერ აღმოჩენილია ფოტოსურათი, სადაც ევგენი ზიჩი ზის თავის მასპინძლებს შორის სოფელ ხვედურეთში. თუ რატომ ეწვია ციციშვილებს ზიჩი, ამის შესახებ არსებობს ლეგენდა, თითქოს ქართველ ციციშვილებსა და უნგრელ ზიჩებს შორის რაღაც ნათესაური კავშირი ყოფილიყოს. რამდენად მართალია ეს ლეგენდა, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ზიჩების განსაკუთრებული მეგობრობა ციციშვილებთან უდავო ფაქტია. ევგენი ზიჩი კავკასიიდან დაბრუნების შემდეგ მ. ზიჩის ეწვია პეტერბურგში 1897 წელს და მასთან სურათიც გადაიღო. ამის შესახებ საინტერესო ცნობა გამოაქვეყნა თბილისის რუსულმა გაზეთმა — „ვეჩერნი ტბილისმა“ — და ეს სურათიც მოათავსა*.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ზიჩის მეორე ახლო ნათესავი ანთროპოლოგი ზიჩი, რომელიც ოთხმოციან წლებში გამოიმგზავრებულა კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, რათა დაემტკიცებინა კავკასიურ და უნგრულ მოდგმათა თავის ქალის მსგავსება.


გადმოცემის თანახმად, ანთროპოლოგ ზიჩის დიდხანს უცხოვრია ქარელის ციციშვილებთან.

* გაზ. „ვეჩერნი ტბილისი“, 1960 წ. № 3.



მამ. ზიჩი ხველურელში

5. ბ. გორდეზიანი, ზიჩი საქართველოში



ზიჩის მეორედ ჩამოსვლა საქართველოში

ზიჩის ინტერესი საქართველოს ცხოვრებისა და ისტორიისადმი „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებით არ დამთავრებულა. როდესაც ზიჩი მეფე-დედოფალს ჩამოჰყვა საქართველოში, მან თან ჩამოიტანა სამი დაზგური გრაფიკული ფურცელი წმინდა ნინოს ცხოვრებიდან, რომლითაც შეამკო ამ მითური პიროვნების საფლავი ბოდბის მონასტერში. პირველი ცნობა ამ სურათების შესახებ ყურნალ „მწყემსში“ გამოქვეყნდა. „რუსული გაზეთები გვაუწყებენ, რომ აკადემიკოს მ. ზიჩის უკვე დაუხატავს რამდენიმე სურათი წმ. მოციქულთა სწორის — ნინოს — ცხოვრებიდან. ამ სურათებით უნდა მორთონ ამ წმინდანის სასაფლაო ბოდბის მონასტერში, რომელიც იმყოფება სიღნაღის მაზრაში“ („მწყემსი“, 1888 № 2). ეს სურათები ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნის დროს, ფოტოტიპის საშუალებით გამოსცა მან სამ ფურცლად, ძალიან განსაზღვრული რაოდენობით*. ამ სურათების შესახებ ზიჩის ბიოგრაფები არაფერს ამბობენ, ალბათ მათთვის, ისევე როგორც ბევრი ჩვენგანისათვისაც, ეს შესანიშნავი ოსტატობით შესრულებული სურათები უცნობი იყო.

როგორც ამ სურათებიდან ჩანს, ზიჩი კარგად ყოფილა გაცნობილი ლეგენდას წმიდა ნინოზე და იმ სკულპტურულ ოქროჭედილ სურათებს, რომლებიც მოთავსებულია წმიდა ნინოს „ჯვარი ვაზის“ მარცხენა და მარჯვენა მხარეს. ეს ჯვარი დღეს თბილისშია, სიონის ტაძარში და ოქროჭედილობის იშვიათ განძს წარმოადგენს. ზიჩის მიერ შესრულებული ორა სურათის სიუჟეტი აღებულია ამ ჯვარზე მოთავსებული სუ-

* ამ იშვიათი გამოცემის ერთი ცალი ინახება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, საიდანაც ვაღმოღებულია აქ გამოქვეყნებული რეპროდუქცია.

რათიდან, თუმცა მათ, შესრულებისა და კომპოზიციის მხრივ, არაფერი საერთო არა აქვთ.

მართალია, ამ სურათების სიუჟეტები რელიგიური მითოლოგიიდან არის აღებული, მაგრამ ჩვენ გვინტერესებს არა მათი შინაარსი, არამედ მხატვრული შესრულება და ის შესანიშნავი რეალისტური სტილი, რომლითაც ზიჩი უახლოვდება აღორძინების ეპოქის მხატვრებს, რომლებიც რელიგიურ სიუჟეტებში ავლენდნენ პროგრესულ შინაარსს, აღიდეგდნენ ადამიანს, მის სულიერ ძალას და შეუდარებელი ბუნებრივობით გადმოგვცემდნენ რეალური სამყაროს სილამაზეს.


როდესაც ამ თვალსაზრისით ვიხილავთ ზიჩის ამ სურათებს, ჩვენ გვანცვიფრებს მხატვრის დიდი ოსტატობა, მისი სიყვარული რეალური ცხოვრებისა და ცოცხალი ბუნების სიმართლით გადმოცემისადმი.

ამ ნახატებს არაფერი აქვთ საერთო საეკლესიო მხატვრობასთან, ისინი ცხოვრებიდან არიან აღებული და ჩვეულებრივი მორწმუნე ადამიანის განცდებსა და გრძნობებს გვისატყვენ. ალბათ ამით აიხსნება, რომ ჩვენმა სამღვდლოებამ შეტად გულცივად მიიღო დიდი მხატვრის ეს საჩუქარი და მათ შესახებ არაფერი თქვა.

მართლაც, როდესაც დავცქერით ტბაფარაენის მკაცრი ღირიყული პეიზაჟის ფონზე მძინარე ქალწულის სახეს, რომელსაც ქრისტე ესიზმრება, ის ყურადღებას იპყრობს თავისი ბუნებრივი გამოიმეტყუელებით: მგზავრობით დალილი ადამიანის ოცნება და ფიქრები უფრო რეალური ცხოვრების სცენას გამოხატავენ, ვიდრე რელიგიური ექსტაზისას. ასეთი რეალობა უფრო მეტი სიძლიერით არის გადმოცემული მეორე სურათში, სადაც მაღლარი ვაზის ძირას მიძინებულ ახალგაზრდა ქალს ღეთისმომბელი ესიზმრება.

ამ სურათებში ნინოს სახით მხატვარი იძლევა კეთილშობილების იდეალს. ადამიანის ბუნებრივი სახე ჰარმონიულად არის შეზამებული ცოცხალი ბუნების განწყობასთან. ქალწულის სახე მხატვრის მიერ პოეტური ეშხით არის აღმეჭდილი. იგი საესეა დიდი ზნეობრივი ძალით, სილამაზითა და ამქვეყნიური სუნთქვით. ნინოს ეს სახე, სადაც ჩქეფს ბიცოცხლე და სილამაზე ისე, როგორც იმ ბუნებაში, რომლის ფომზედაც იგია მოცემული, ძლიერ შორს დგას უსულგულო და გრძნობებგაყინული საეკლესიო წმინდანის სახისაგან.

ზიჩის მიერ შექმნილი წმ. ნინოს სურათები სანიმუშოა რელიგიური სიუჟეტის აზლებურად გაგებისა და გამოსახვის თვალსაზრისით. ეს სუ-





ზინო — წმ. ნინო

რათები ახალ სხივს ჰფენენ დიდი მხატვრის შემოქმედების ნაირსახეობას.

დღემდე ჩვენში სრულიად უცნობი იყო ზიჩის საქართველოში ყოფნის ერთი მომენტი, სახელდობრ, მისი მისვლა ს. იკორთაში და იკორთის მონასტრის დახატვა.

იკორთის მონასტრის დახატვა შესრულების მხრივ უფრო საინტერესოა ჩვენთვის, ვიდრე მხატვრული ღირსებით.

როგორც ვიცით, ზიჩის მრავალი მოწაფე და მიმდევარი ჰყავდა. მათ შორის ყველაზე ნიჭიერი იყო მერი ეტლინგერი, რომელმაც ზიჩის ბიოგრაფიაში თვალსაჩინო როლი ითამაშა.

მერი დიდი თავყანისმცემელი იყო თავის მასწავლებლისა, რომელიც არა ნაკლებ აფასებდა ახალგაზრდა ქალის მხატვრულ ტალანტს და განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა მისდამი. როდესაც ზიჩის პარიზის პერიოდზე გვქონდა საუბარი, იქ გაკვრით ვახსენეთ, რომ მერი თან ახლდა ზიჩის და მისი განუყრელი თანამგზავრი იყო მისი ხშირი მოგზაურობის დროს ევროპაში.

ამ მერის შესახებ 1887 წელს „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის დიდი მოამაგე იონა მეუნარგია ზუგდიდიდან ატყობინებდა თავის ნაცნობებს ჯიხაში, როგორც სენსაციას, რომ ზიჩის ცნობილი მოწაფე, მხატვარი ქალი მერი ცოლად გაჰყვა კონა ერისთავის * შვილს — დიმიტრიოსო. ერისთავმა ეს ფრიად ნიჭიერი მხატვარი ქალი მოსწყვიტა პეტერბურგის მაღალ საზოგადოებას და თავის საგვარეულო სოფელ იკორთაში მიიყვანა, რომელიც ქ. გორიდან 20 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.

როდესაც ერისთავმა ეს ქალი პეტერბურგიდან იკორთაში წამოიყვანა, რა თქმა უნდა, ზიჩი დაინტერესებული იქნებოდა მისი ბედით, ამიტომ საქართველოში მეორედ ჩამოსვლის დროს (1888 წ.) იკორთაში ჩავიდა და მოინახულა თავისი მეგობარი ქალი.


ჩვენ არ ვიცით, როგორ შეხვდნენ ერთმანეთს ყოფილი მოწაფე და მასწავლებელი, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ამ შეხვედრის შემდეგ მერი ეტლინგერი მალე დატოვდა თავის ქმარს და დიდ საზოგადოებას მოწყურებული მხატვარი ქალი პეტერბურგში გაემგზავრა.

როგორც იმდროინდელ ჩვენი ჟურნალ-გაზეთებიდან ჩანს, მერი ნა-

* კონა ერისთავი იყო ძმისწული გიორგი ერისთავისა, ცნობილი მოასპარეზე და განთქმული მეთოფური.



დიმიტრი ერისთავი და მისი მეუღლე მერი ეტლინგერი



შანი — ივრათის მონასტერი



ყოფიერ მხატვრულ შემოქმედებას ეწეოდა საქართველოში. ხშირად იბეჭდებოდა მისი ნამუშევრები. აგრეთვე მას დარჩენია გამოუქვეყნებელი ნამუშევრებიც, რომელთა შორის ყურადღებას იქცევს კალმით შესრულებული „ქალის პორტრეტი“. ზეთის ფერებით შესრულებულ ნამუშევართაგან განსაკუთრებით გამოირჩევა მისი მამამთილის, კონა ერისთავის პორტრეტი მთელი ტანით. ამ პორტრეტის დედანი ჯერჯერობით დაკარგულია, ჩვენ მხოლოდ მისი ფოტოპირი მოგვეპოვება, საიდანაც სჩანს ეტილინგერის მაღალი მხატვრული ნიჭი და შემოქმედებითი ძალა*.

ზიჩის სტუმრობას იკორთაში უშედეგოდ არ ჩაუვლია: როგორც ვთქვით, მას იქ დაუხატავს 1172 წელს აშენებული, ერთ დროს განთქმული იკორთის მონასტერი და მონასტრის დამცველი ციხე, შოთავსებული ამავე ტაძრის გალავანში.

ზიჩის ს. იკორთაში მისვლის ფაქტი საინტერესოა ჩვენთვის იმდენად, რამდენადაც კიდევ უფრო ნათელი ხდება ამ დიდი მხატვრის ახლო მეგობრული დამოკიდებულება ქართულ საზოგადოებასთან.

* აქ გამოქვეყნებულ მასალებზე მიგვიითია და საშუალება მოგვცა გადაგველო მათი ასლი გიორგი ერისთავის შვილიშვილმა ელისაბედ ერისთავმა, რომელთანაც ინახება ამ მასალების დედნები.

**უნგრეთ-საქართველოს კულტურული
კავშირის განმტკიცება „ვეფხისტყაოსნის“
გამოსვლის შემდეგ**

როდესაც ზიჩიმ „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებას მოჰკიდა ხელი, ის დარწმუნებული იყო, რომ ეს დასურათება ხელს შეუწყობდა ევროპულ ქვეყნებში ქართული კულტურის უფრო ფართედ გახმაურებას. როგორც ზევით შევიტყვეთ მის მიერ კომისიისადმი მიწერილი წერილიდან, განზრახვა ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები პატარა ფოტოგრაფიულ ალბომად გამოეცა დასავლეთ ევროპისათვის, რათა სახელი და დიდება რუსთაველისა უფრო ვრცლად მოეფენილიყო.

გამოსცა თუ არა მან ეს ალბომი, ჩვენ არ ვიცით, ვიცით მხოლოდ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებით რუსთაველის სახელი, მართლაც, უფრო ფართედ მოეფინა როგორც რუსეთს, ისე ევროპის სხვა ქვეყნებსაც. ასე, მაგალითად, 1899 წელს სტოკჰოლმის ორიენტალისტთა კონგრესზე დიდი ყურადღება მიიპყრო ამ იშვიათმა გამოცემამ. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მისმა ბრწყინვალე ტექნიკურმა შესრულებამ და მაღალმხატვრულმა დასურათებამ.

ამასთანავე, როდესაც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ეს გამოცემა ქ. მაინცში გადაგზავნა გუტენბერგის საიუბილეო გამოფენაზე, იქიდან მოვიდა ქ. მაინცის ქალაქის თავის სამადლობელი წერილი, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„ეს მშვენიერი საჩუქარი სასახელოა ქართული სტამბისათვის და საშუალოდ უნდა დარჩეს გუტენბერგის ქალაქში“ (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900 № 1040). მაგრამ ზიჩის მიერ დაწყებულმა საქმემ ყველაზე მეტი ნაყოფი, უპირველეს ყოვლისა, მაინც თვით უნგრეთში გამოიღო: როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1917 წელს გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი უნგრულ ენაზე და ამ პირველი თარგმანის მოთავე, როგორც

დღეს ირკვევა, ზიჩი ყოფილა. ამის შესახებ ქართულ პრესაში ძალიან მცირე ცნობები მოგვემოგვება. არსებობს მხოლოდ ერთადერთი წერილი ქართველი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის — გრიგოლ ილარიონის ძე წერეთლისა, რომელიც ამ თარგმანის ისტორიას შეეხება და თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა იმ ცნობებს, რომლებიც ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა უნგრულ პრესაში. იმდენად საინტერესოა ეს ცნობები და იმდენად მნიშვნელოვანი უნგრეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობისათვის, რომ ნებას ვაძლევთ ჩვენ თავს ფართოდ შევეხოთ ამ მასალებს და ქართველ მკითხველს გავაცნოთ ზიჩის მიერ დაწყებულ საქმის თვალაჩინო შედეგი.

„ვეფხისტყაოსნის“ უნგრული თარგმანი ეკუთვნის უნგრეთის საამაყო შვილს, გამოჩენილ ეთნოგრაფ მეცნიერსა და ხელოვნების დიდ მოამაგეს ბელა ვიკარს (1859 — 1945). უნგრეთის პრესამ ვიკარის დაბადებიდან 100 წლისთავის თარიღი ფართოდ აღნიშნა. ამ თარიღისადმი მიძღვნილ წერილებში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ზიჩის ჩაგონებით ბელა ვიკარის მუშაობას „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე.

როდესაც უნგრეთის ხელოვნებათმცოდნე ლინდა დეიგი ბელა ვიკარის მოღვაწეობაზე ლაპარაკობს, იგი იხსენებს მის მიერ ფინური ებოსის — „კალევალას“ — თარგმანს და ამბობს: „არა ნაკლებ მნიშვნელოვანია მისი თარგმანი XII საუკუნის ქართველი პოეტის რუჰსთაველის ებოსის — „ტარიელისათ. ამ სამუშაოს შესრულებას ის ცნობილი ილუსტრატორის — მიხაი ზიჩის — ჩაგონებითა და დაყენებული მოთხოვნით შეუდგა. ამ საქმიანთვის ბელა ვიკარი ათი წლის განმავლობაში სწავლობდა ქართულ ენას“.

უფრო დაწვრილებით ცნობებს ჩვენ ვპოულობთ მეორე ხელოვნებათმცოდნის — პალმა შელკენის — სპეციალურ წერილში: „მოგონებანი ქართული ებოსის პირველ უნგრულ თარგმანზე ბელა ვიკარის დაბადების ასი წლისთავთან დაკავშირებით“. ჩვენ ამ ვრცელი მოგონებიდან სიტყვასიტყვით მოვიტანთ მხოლოდ იმ ძირითად ადგილებს, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს შეეხება.

* ლინდა დეიგი — ბელა ვიკარი — სწავლული ეთნოგრაფი, უნგ. ლიტ. გაზ. „ვილტ ეიშ იროდალოშ“, 1959. № 6.

როგორც ლინდა დეიგის, ისე ქვემოთ მოტანილი პალმა შელკენის წერილები, გამოგვცა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ.



„50 წლის ბ. ვიკარმა შესწავლა ქართული ენა მხოლოდ იმიტომ, რომ თავის თანამემამულეებისათვის გაეცნო XII საუკუნის ქართველი პოეტის — შოთა რუსთაველის—რომანი-ეპოსი „ვეფხისტყაოსანი“. რვა წლის დაუტბრომელი მუშაობის შედეგად ჩვენ მივიღეთ ამ ნაწარმოებს თარგმანი...

რამდენიმე წლის წინათ უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა საცავში, გაყვითლებულ გაზეთებსა და შენიშვნებს შორის, წავაწყდი მცირე ზომის ზაზიან რვეულს შავ ყდაში, რომელიც დათარიღებული იყო 1908 — 1909 წლებით. ბელა ვიკარის ხელით შექსებულ ამ რვეულში მე განცვიფრებულმა წავიკითხე ქართული გრამატიკის წესები, ქართული გრამატიკის გაკვეთილების შავი ჩანაწერები.

როდესაც ამ რვეულს ვფურცლავდი, მე მომაგონდა ის, რასაც ბელა ვიკარი მიყვებოდა ორმოციან წლებში იმის შესახებ, თუ როგორ სწავლობდა ის ქართულ ენას. მან მითხრა, რომ მისი პირველი მოგზაურობის დროს ფინეთში 1899 წელს ინახულა ჩვენი გამოჩენილი მხატვარი შიხაი ზიჩი, რომელმაც იგი მიიღო ლახტაში, პეტერბურგის აზლოს. მიწვევისას ზიჩიმ უჩვენა მას 1888 წლის „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემა, რომანი ლექსად, 27 ილუსტრაციით.

„— ეს ჩემი საუკეთესო ილუსტრაციებია. მე გთხოვთ, თქვენ გადათარგმნოთ ეს წიგნი უნგრულ ენაზე“, — მითხრა ზიჩიმ.

იმ დროს ბელა ვიკარი დაკავებული იყო ფინური „კალევალას“ თარგმანით და ახალ სამუშაოზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. მაგრამ დიდი მხატვრის ამალელებელი სიტყვები მან არ დაივიწყა.

„მე უკვე გადასული ვიყავი 50 წელს“, — მიაშობდა მოხუცი მეცნიერი, — „როდესაც, რასაკვირველია, თუმცა დიდი გაჭირვებით, მაგრამ განსაკუთრებული მონდომებით შევეუდექი ქართული ენის შესწავლას; როდესაც მეგონა, რომ უკვე ვიცოდი ის და მინდოდა დამეწყო თარგმნა, მე მივედი სამწუხარო დასკვნამდე, რომ ქართული ეპოსი, რომლის გადათარგმნაც მე მინდოდა უნგრულ ენაზე, დაწერილ იყო ქართულად 700 წლის წინათ და, მიუხედავად იმისა, რომ მე მრავალი წლის განმავლობაში ესწავლობდი ნაწარმოებს, ორიგინალი ჩემთვის მაინც სრულიად გაუგებარა იყო, მე არ მეეჭვებოდა და ვგრაძნობდი, რომ ასეთი ცოდნით მე მარტო ვერას ვაძვდებოდი. მოვიწვიე რუსთაველის სამშობლოდან ცნობილი პოეტი-ესპერანტისტი გიორგი წიკლაური, რომელიც კარგად იცნობდა ძველ ქართულ ლიტერატურას და, ამასთანავე, რამდენიმე ევრო-

ბულ ენაზედაც ლაპარაკობდა. ნახევარი წლის მანძილზე, ყოველ დღე, ოთხი საათის განმავლობაში, ვთარგმნიდი ჩემთვის ესპერანტოს ენაზე ან ფრანგულ და ინგლისურ ენებზე ქართულ სიტყვებსა და ქართულ ლექსებს“...

ჩვენ ერთად წავიკითხეთ ჯერ ქართული „ახალი აღთქმა“, შემდეგ ხალხური პოეზია, და ბოლოს რუსთაველის ეპოსი. და მხოლოდ მაშინ, როდესაც მე ვიგრძენი, რომ დავსძლიე ქართული ენის სიძნელენი, შევუდექი ეპოსის თარგმნას; უკვე მუშაობის დაწყებისთანავე მე დავრწმუნდი, რომ მიხაი ზიჩი მართალი იყო: „ვეფხისტყაოსანი“, მართლაც, ღირსი იყო იმისა, რომ იგი შესულიყო ევროპის ყველა ლიტერატურაში“...

ბელა ვიკარი საფუძვლიანად ემზადებოდა ამ ნაწარმოების თარგმანისათვის. მის ერთ შავად ჩაწერილ სტენოგრაფიულ რვეულში, ჩემდა განსაცვიფრებლად, აღმოვაჩინე შენიშვნები საქართველოზე, როდესაც მას დაუწყია ქართული ენის შესწავლა, ის, პირველ ყოვლისა, გაცნობია საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიას, ეთნოგრაფიას, ლიტერატურას, ხალხურ ზნე-ჩვეულებებს, დაინტერესებული ყოფილა ქართული სიმღერებით, ჩაცმა-დახურვით, საჭმელებით.

მხოლოდ ასეთი სერიოზული წინააწარი გაცნობის შემდეგ შესაძგომია თარგმნას. ამ დიდი სამუშაოს შესახებ დროდადრო იბეჭდებოდა ცნობები გაზეთებში. 1912 წლის 5 ივლისს გაზეთი „მადიარხირალი“ წერდა: „აკადემიის სხდომაზე წევრ-კორესპონდენტმა ბელა ვიკარმა გააცნო დამსწრეებს მათთვის უცნობი ძველი ქართველი პოეტის — შოთა რუსთაველის — პოემა-ეპოსი „ვეფხისტყაოსანი“. რუსთაველი ცხოვრობდა XII საუკუნეში, როდესაც გეორგია (ანუ საქართველო — ბ. გ.) იყო ძლიერი და მოწინავე კულტურის მქონე კავკასიის ხალხთა შორის... მის მიერ წარმოდგენილი ნაწყვეტი იძლევა წარმოდგენას ორიგინალის სილამაზეზე და ადასტურებს, რომ პოეტი, რომელიც 700 წლის წინათ ცხოვრობდა, დღემდე არ მოძველებულა და რომ ეს ნაწარმოები გამოვა უნგრულ ენაზე ღირსეული ფორმით“..

რვა წლის დაძაბული მუშაობის შედეგად ბელა ვიკარმა დასძლია ქართული ენა და ეს პოემა გამოვიდა უნგრულ ენაზე... ბელა ვიკარს ძალიან უყვარდა ეს ნაწარმოი“.

თითქმის ამასვე იმეორებს გრიგოლ წერეთელი, რომელიც ბუდაპეშტში ჩასულა 1915 წელს. იქ გაუცნია ბელა ვიკარი, დაახლოებია მას,

„ვეფხისტყაოსნის“ ბოლო თავების თარგმნაშიც დახმარებია და 1918 წელს დაბრუნებულა სამშობლოში. ამ საინტერესო მოგონებებიდან ჩვენ დამატებით ვტყობილობთ, რომ ბელა ვიკარს, გარდა „ვეფხისტყაოსნისა“, ჩვენი კლასიკოსების — ილია ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, რაფიელ ერისთავის, ვაჟა-ფშაველას და სხვათა ნაწარმოებზე ჰქონდა თარგმნილი უნგრულად და დაბეჭდილი.

ეს მოგონება წარმოადგენს მეტად საინტერესო მასალას უნგრეთ-საქართველოს კულტურული დამოკიდებულების შესასწავლად.

მასში ერთხელ კიდევ დასტურდება ის საყვარული და მზრუნველობა, რასაც ზიჩი იჩენდა ქართული ლიტერატურის სიამაყის — „ვეფხისტყაოსნისა“ და მთელი ქართული კულტურის მიმართ. ამიტომ ვრცლად მოგვაქვს ამონაწერები ამ მოგონებიდან:

„...ვეფხისტყაოსანი დაიბეჭდა და გამოვიდა პირველად უნგრულ ენაზე 1917 წელს ქ. ბუდაპეშტში.

თარგმანი ეკოთენის ბუდაპეშტის სამეცნიერო აკადემიის წევრს, ორიენტალისტს პროფ. ბელა ვიკარს. საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორ ითარგმნა იგი უნგრულად. ამ პროფესორს მე შევხვდი ქ. ბუდაპეშტში 1915 წელს. მაშინ ის იყო 65 წლის მოხუცი*, მაგრამ მარჯვე და მხნე კაცი. მაშინ მას „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი თითქმის დასრულებული ჰქონდა, აკლდა მხოლოდ უკანასკნელი ნაწილი, დაახლოებით ათითორმეტი ფურცლის მოცულობით. როდესაც გამიცნო და გაიგო, რომ მე ქართველი ვიყავი, სიხარულით ცას ეწია. მაშინვე დამიწყო გამოკითხვა ჩვენი ქვეყნის ყოფა-ცხოვრების შესახებ. როდესაც გაიგო, რომ მე კარგა ხანია არ ვყოფილვარ საქართველოში, თვითონ მომიყვა დაწვრილებით საქართველოს ამბებს, მთლიანად გადამიშალა ჩვენი მწერლების ნაშრომები ისე დაწვრილებითა და ღრმა ცოდნით, რომ მე ცოტა შევკრთი, რადგანაც ასე კარგად ჩვენი ლიტერატურის ისტორია არ ვიცოდი.

მე სიტყვა „ვეფხისტყაოსანზე“ ჩამოვუვადე. მის ალტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც „ვეფხისტყაოსანი“ ვახსენე, „იცი რა გითხრათ?“ — მითხრა მან და ტუჩები ყურთან ახლო მიმიტანა, — თქვენი „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენს ენაზე ვთარგმნე, მე მაღიარი ვარ, „ვეფხისტყაოსნის“ გარდა ჩვენებურად ვთარგმნე აგრეთვე მრავალი ლექსი ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასი, ნიკოლოზ ბარათაშვილისა

* ბელა ვიკარი ამ დროს იყო 56 წლის (ბ. გ.).



(მერანი) და რაფიელ ერისთავისა. მე თქვენს ლიტერატურას ვაცნობდი ჩვენს ხალხს.

— თქვენ იცით ქართული ენა? — ვკითხე გერმანულად, გაკვირვებულმა.

— აბა მიყურე, თუ არ ვიცი, — მითხრა და სხაპასხუპით უცებ წაიკითხა ილიას ლექსი.

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალი ჭყივის;
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.

მე სახტად დავჩაჩი: გამოაცა ამ მოხუცებული პროფესორის ასეთმა კარგმა მიხსიერებამ, მართალია, ლექსი ქართულად წაიკითხა, მაგრამ ეტყობოდა ქართული სუსტად იცოდა.

— მე ვთარგმნე ბევრი თქვენი პოეტი. როდესაც მოხვალთ ჩემთან ბინაზე, ყველა თარგმანს გაჩვენებთ, თქვენ უნდა მოხვიდეთ ჩემთან უსათუოდ. მე საქმე მაქვს თქვენთან. მე მომწონს თქვენი ლიტერატურა, რუსთაველი მსოფლიო გენიოსია, რომელსაც ბაღალი არ ჰყავდა მის ეპოქაში. მხოლოდ აღმოსავლეთის ერს შეეძლო წარმოეშვა ასეთი იშვიათი მაღალი კულტურის და ხელოვნების ადამიანი. თქვენ მოხვალთ, არა? თქვენ უთუოდ უნდა მოხვიდეთ ჩემთან. მე გაჩვენებთ ჩემ თარგმანებს, რომლებიც მე შევესარულე უცხო ენებიდან ესპერანტოს საშუალებით უნგრულად.

„ვეფხისტყაოსანი“ გადმოვთარგმნე თექვსმეტმარცვლოვანი ლექსით, როგორც ორიგინალშია. რუსთაველის ყველა ფორმა დაცულია თარგმანში ისე, როგორც ქართულადაა. ეს იმიტომ, რომ მადიარულ ენას (უნგრულს) ყველა ის თვისებები აქვს, რაც ქართულს, აგრეთვე ფინურ ენასაც. მოგეხსენებათ, თქვენი „ვეფხისტყაოსანი“ დასურათებულია ჩვენი საყვარელი მკვლევარის გრაფ ზოჩისაგან. მე მაქვს თქვენი დიდი გამოცემა „ვეფხისტყაოსნისა“, მაქვს აგრეთვე ორი სხვა გამოცემაც. ჩემთან რომ მოხვალთ, გაჩვენებთ, — ისეთი გატაცებით და სიყვარულით მელაპარაკებოდა ეს მოხუცებული პროფესორი საქართველოზე, ჩვენს ხალხსა და ლიტერატურაზე, რომ ძალიან მესიამოვნა და ეს კაცი უცებ შემიყვარდა, თითქოს უკვე დიდი ხანია ვიცნობდი და უცებ მოგმინაურდი მასთან. ეს გრძნობა გასაგები იქნება ყველასათვის, ვინც დიდიხნით მოწყვეტილი ყოფილა თავის მხარეს.

— კი მაგრამ, ვინ გითარგმნიდათ ესპერანტოზე ქართულიდან? — ვკითხე მე. მან დამისახელა ერთი ქართველი, რომლის გვარი კარგად არ მახსოვს (თითქოს წიკლაური უნდა ყოფილიყო, ან წილოსანი). ის კაცი კერესელიძე იყო (და არა წიკლაური ან წილოსანი), გამახსენა ერთმა ჩემმა ამხანაგმა, რომელიც იმ ხანებში ჩემთან იყო*.

— ეს ქართველი ემიგრანტი იყო, ის მე 1909 წელს ვნახე ბუდაპეშტში და მალე დავეგობრდით, მან მშვენიერად იცოდა ესპერანტო და აი ამ კაცის დახმარებით ვთარგმნე „ვეფხისტყაოსანი“. თარგმნაზე ვმუშაობდით ორ წელიწად-ნახევარს. თვეში გასამრჯელოს 200 კრონას ვაძლევდი. შემდეგ, 1912 წელს, ბულგარეთის ომი დაიწყო და იგი მოხალისედ წავიდა ბულგარეთში, ბევრი ვუჩიე — არ წასულიყო, ერთხელ კიდეც მომცა სიტყვა — არ წავალო, მაგრამ შემდეგ ჩუმად გაპარულიყო, არც კი მნახა, — ალბათ იფიქრა, არ დამტოვოსო. კარგი აღამიანი და დიდად განვითარებული კაცი იყო.

— „ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელი 10 ფურცელი გადაუთარგმნელი დამრჩა, მაგრამ ახლა არა მიშავს რა, რადგანაც თქვენ განახეთ: თქვენ მომეხმარებით, რომ დავამთავრო ეს მშვენიერი წიგნი.

ამის შემდეგ დავიწყე მასთან სიარული და ის ათი ფურცელიც გადავთარგმნეთ. მე ვუთარგმნიდი გერმანულად, ის კი უნგრულად ლექსავდა. პროფესორმა მიჩვენა მის მიერ უნგრულად ნათარგმნი და სხვადასხვა გამოცემაში დაბეჭდილი შემდეგი ლექსები და პოემები: „კაცო ყაჩაღი“, „მერანი“, „სამშობლო“ რაფ. ერისთავისა, „ღამურა“ აკაკისა და სხვ. რამდენადაც მახსოვს, მოთხრობათაგან გადათარგმნილი ჰქონდა მხოლოდ ერთი ნაწარმოები ვაჟა-ფშაველასი (შინაარსით მახსოვს: თავგების ცხოვრებიდან იყო, მღვდლის ოჯახში მომხდარი ამბავი. სათაური კი არ მახსოვს) **...

ბელა ვიკარს ერთი ოთახის დიდი კუთხე საცხე ჰქონდა ქართული წიგნებით. იქ იყო დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი. ამავე დროს პროფესორი საყვედურს გამოსთქვამდა, რომ ქართველებს ინტელიგენცია კარგი ჰყავს და ერთი კარგი ქართულ-გერმანული ლექსიკონი არ არსებობს, რომ მეცნიერმა ისარგებლოსო.

* როგორც ზემოთ გამოქვეყნებულ ლინდა დევიგის წერილიდან ჩანს, ეს კაცი ყოფილა წიკლაური (ბ. გ.).

** ვაჟა-ფშაველას ამ ნაწარმოებს „სათაფრი“ ჰქვია (ბ. გ.).

ის ფიქრობდა ასეთი ლექსიკონის შედგენასაც, თუ ვინმეს ნახავდა, რომელსაც შეეძლებოდა დიდხანს დარჩენა ბუდაპეშტში და დაეხმარება.

ზემოთ ხსენებული თარგმანი „ვეფხისტყაოსანისა“ დაიბეჭდა სულ 1000 ცალი, მშვენიერ ქაღალდზე, მხატვრულად შესრულებული ყლით. მხატვარი ყდისა იყო ბალინტი. როგორც პროფესორმა გადმოცა, ესათასი ცალი სულ ათიოდე დღეში გაყიდულიყო და ხუმრობით მეუბნებოდა, რომ ჰონორარი შენც გეკუთვნისო. მან მაჩუქა ერთი ცალი ამ თარგმანისა თავისი წარწერით, ნიშნად პატივისცემისა, ეს იყო ის ცალი, რომელიც პირველი ჩამოვიდა საქართველოში.

საზღვარგარეთიდან იგი მე ჩამოვიტანე დაბრუნებისას 1918 წლის დეკემბერში.

...აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბუდაპეშტის ეთნოგრაფიულ მუზეუმებში ერთი ოთახის ნახევარი სულ დაკავებული აქვს საქართველოში შეგროვილ სხვადასხვა ნივთს, კურკელს, ტანისამოსს, ცხენის მოკაზმულობას, სხვადასხვა ქსოვილს, იარაღს და სხვ. ყველა ეს მასალა შეგროვილია მხატვარ ზიჩის მიერ, რომელმაც დაასურათა „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი გამოცემა. ზიჩი დიდი პოპულარობით სარგებლობს უნგრეთში, შესაძლებელია, ნაწილობრივ ამითაც იყოს გამოწვეული, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ასეთი დიდი სიყვარულით თარგმნა პროფ. ბელა ვიკარმა*.

როდესაც ამ სტრიაქონებს ვკითხულობთ, არ შეიძლება არ ვიგროძნოთ უდიდესი პატივისცემა ზიჩისადმი, რომელმაც ასე შეიყვარა ქართველი ხალხი და მტყიცე კულტურული ურთიერთობა დაამყარა საქართველოსა და უნგრეთს შორის.

ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გაიზარდა და განმტკიცდა მას შემდეგ, რაც ევროპის მშრომელი ხალხის ერთი ნაწილი გაათავისუფლა საბჭოთა არმიამ გერმანელი ფაშისტებისაგან და ამ ქვეყნებში დამყარდა სახალხო დემოკრატიული წყობილება.

მომხე კომუნისტურ პარტიებთან ერთად, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხთა ერთსულოვან ოჯახში უნგრელი კომუნისტები გამოდიან მშვიდობისათვის და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის მსოფლიოს ყველა ხალხს შორის მეგობრობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში*.

* საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებიდან „უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიის მე-VII ყრილობას“.

საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობა სულ ახალ-ახალი მიღწევებით ხასიათდება *. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს „სახლუარ-გარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების“ არსებობა და ამ საზოგადოების ფრიად ნაყოფიერი მუშაობა ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში.

დიდი საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი პოლიტიკა მიმართულია ხალხების ძმობისა და მეგობრობისაკენ და ამ საქმეში წარსულში დიდი ღვაწლი მიუძღვის უნგრეთის სახელოვან შვილს დიდ მხატვარსა და საზოგადო მოღვაწეს, მიხაი ზიჩის.

* 1954 წელს უნგრეთში გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი თარგმანი, პოეტ შანდორ ვერეშის მიერ შესრულებული.

ნ. ბ. გორდენიანი. ზიჩი საქართველოში

ს ა რ ჩ ი მ ბ ი

| | |
|---|----|
| წინასიტყვაობა | 7 |
| შესავალი | 9 |
| მოკლე ბიოგრაფიული ცნობები | 11 |
| საქართველოში მოსვლა და „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება | 31 |
| მ. ზიჩის ურთიერთობა საქართველოსთან „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებამდე | 58 |
| მ. ზიჩის მეორედ ჩამოსვლა საქართველოში | 65 |
| უნგრეთ-საქართველოს კულტურული კავშირის განმტკიცება „ვეფხისტყაოსნის“ გამოსვლის შემდეგ | 73 |

რედაქტორი ირ. არაბული.

მხატვარი დ. დუნდუა

მხატვრული რედაქტორი გ. გორდეგაძე

ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუციშვილი

კორექტორი თ. მაჩაბელი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/VII-60 წ. ქალაქის ზომა 70X92¹/₁₆.

ნაბეჭდი თაბახი 5,25+1 ჩაკერა. სააღრ.-საგამომც. თაბახი 4,03.

სააქტორო თაბახი 3,92. უე 03813. ტირაჟი 3,000. შეკვ. № 469.

ფასი 6 მან. 50 კაპ.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს

მთავარბოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.

თბილისი, თრჯონიკიძის ქ., № 50.

1-я типография Главполиграфиздата

Министерства культуры Грузинской ССР.

Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.

Бено Павлович Гордезиани

М. А. Зичи в Грузии

(На грузинском языке)

Государственное издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси — 1960

